# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 ოქტომბერი 2008 №226 (3450) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## აქ მორჩა, რომ მიდიხარ?!

## პოლ კესანი ისრაელში გადავიდა

პოლ კესანი ისრაელის უმაღლესლიგელ კირიათ შმონას „ჰაპოელშია", გუშინ სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო და გადაწყვეტილია, რომ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს... როგორ მოგწონთ?! ეს ამბავი ებრაულ ვებგვერდებზეც წერია და გაბონის ფეხბურთის ფედერაციაც ადასტურებს. არადა, გაბონის ნაკრების კაპიტანს „ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტი აქვს.

სკანდალთან გვაქვს საქმე. კესანის „ჰაპოელში" გადასვლას „ზესტაფონი" ასე არ დატოვებს. არც ისე ბნელა, როგორც თვითონ კესანს ჰგონია... სიტუაციის გასარკვევად გუშინ „ზესტაფონის" პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით:

— პოლ კესანს 2010 წლის 1 აპრილამდე აქვს „ზესტაფონთან" კონტრაქტი და ჩვენი კლუბი მის გაწყვეტას არ აპირებს.

**— კესანი რამდენიმე თვეა, არ გამოჩენილა „ზესტაფონში". ამ ხნის განმავლობაში საერთოდ ვერ დაუკავშირდით?**

— ვერაფრით დავუკავშირდით და არც თვითონ დაგვიკავშირდა.

**— და რას იზამთ, როცა კესანი „ჰაპოელთან" კონტრაქტს გააფორმებს?**

— ცხადია, ამას ჩვენგან შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ კესანიც და „ჰაპოელიც", თუ ასე იქცევიან.

მართლაც, მოქმედკონტრაქტიანი ფეხბურთელი სხვა კლუბთან არხეინად აფორმებდეს ხელშეკრულებას, მეტისმეტად უცნაური ამბავია.

ისე, „ჰაპოელი" გაბონელს განაცხადში ვერ შეიყვანს, რაკილა მანამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო ფურცელი უნდა მიუვიდეს. სფფ კი, ბუნებრივია, ამას არ გააგზავნის.

სავარაუდოდ, ყველაფერი ფიფასკენ მიდის — კესანსაც და „ჰაპოელსაც" სანქციები ელით.

**ილია ნანობაშვილი**

# უყურებ და გიკვირს

## რატომ უკვირთ, რომ ფეხბურთს პატარებიც თამაშობენ




„რეალმა" გაზპრომელები მისსავე მოედანზე დაამარცხა

# ტურის ინტრიგა პოლუსებად გაიყო

## ზევით: ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

## ქვევით: დინამო — ოლიმპი



შარშანდელი დინამო — ოლიმპი კარგი თამაში იყო და ვინძლო დღევანდელიც კარგი გამოდგეს

# გუშინ კი: გვარები მატჩს ვერ იგებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა I წრე. 4 ტური

# გვარები კი არა, გოლები!



ბოლნისი. 30 სექტემბერი. 15 საათი. თ. სტეფანია. 400 მაყურებელი

## სიონი 0:0 მესხეთი

| სიონი | მესხეთი |
|---|---|
| სიონი: ბობლიაშვილი, კობაური (რ. გოცირიძე 76), დ. სვანიძე, ქემოკლიძე, კაკაშვილი, კოშკაძე, დიდავა (ლ. ბაჯელიძე 70), ქურასბედიანი, ხუბუა (ა. ალავიძე 46), ს. იაშვილი, დავითაშვილი *სათადარიგონი:* ქვაჩახია; ზ. ჭელიძე, შ. ჯიქია, ჩივაძე | მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, თედიაშვილი, ლ. ახალაია, ინასარიძე (ქოჩორაშვილი 90), გ. გოჩაშვილი, თაყაძე (სამადაშვილი 77), გონჩაროვი (სუდაძე 90) *სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; მურმანაშვილი, კობესაშვილი |
| მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე | მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (42), კობაური (49), თედიაშვილი (61), დიდავა (69)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ყრუაშვილი, კ. გუდურაშვილი, ლ. სილაგავა

**ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან**

**შეხედეთ** ჯერ „სიონის“ თავდასხმას და მერე ცხრილში გუნდის მიერ გატანილი გოლების გრაფას. რაც ჩემპიონატი დაიწყო, ბოლნისელებს 360 წუთის განმავლობაში თამაშიდან გოლი არ გაუტანიათ — ის ერთადერთი ბურთიც, რომელმაც ოთარ კორღალიძის ბიჭებს ზუგდიდის „მგლებთან“ მოგება მოუტანა, პენალტით გავიდა.

როდესაც ნამატჩევ პრესკონფერენციაზე „სიონის“ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს ფორვარდთა უშედეგობაზე შევეკითხეთ, ასე გვიპასუხა: „კი, კარგი თავდამსხმელები გვყავს, მაგრამ გვარები არ თამაშობენ. თითქმის ყველა მათგანი გვიან შემოგვიერთდა, სანდრო იაშვილი სულაც ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დავიმატეთ. სრულყოფილი შეკრება ფორვარდთაგან ირაკლი შენგელიამ გაიარა, რომელიც ტრავმის გამო დიდი ხნით გამოგვაკლდა“.

სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე „სიონის“ გასახდელში რომ შევიდა, ბიჭები გაამხნევა, დღეს უკეთ ითამაშეთ, ვიდრე „ბორჯომთანო“.

ბოლნისელები ორივე ტაიმში სჯობდნენ „მესხეთს“ და შესვენებამდე სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. აქტიური გელა ხუბუას ჩაწოდებულზე სულიკო დავითაშვილმა თავური ააცილა, ცალკე სანდრო იაშვილსა და ალეკო კოშკაძესაც გაუცუდდათ შანსები.

ხუბუა ტაიმის ბოლოს დაშავდა და მის ნაცვლად შესულმა არჩილ ალავიძემ კიდევ უფრო გაამწვავა მარცხენა ფლანგიდან შეტევები — რამდენჯერ გაიჭრა და ჩააწოდა, თვლა აღარ ჰქონდა. „მესხეთი“ კონტრშეტევაზე თამაშობდა, უფრო სწორად, ცდილობდა ამის გაკეთებას და იშვიათად ახერხებდა. ბევრს მუშაობდა ლადო ახალაია, თუმც მესხთაგან საუკეთესოდ მაინც დიმიტრი ლეკიშვილს დავასახელებდით: ართმევა გინდა თუ ბურთის ამოტანა, ყველაფერი გამოსდიოდა...

რაც დრო გადიოდა, ახალციხელთა ნახევარზე სიმწვავე მატულობდა. სტუმრებს მხოლოდ ერთხელ შეექმნათ ნახევარმომენტი, როცა ბორის გონჩაროვმა გურამ სამადაშვილის პასისას კარს გადააცილა. თუმც ეს არაფერია იაშვილის გაფუჭებულ ბურთთან შედარებით — ალავიძის მორიგ ფლანგურ გარღვევას და პასს სანდრო ცუდად დაუხვდა. ნამატჩევს ძალიან წუხდა, ასეთი ბურთი, მგონი, ჯერ არ ამიცილებიაო.

„იაშკამ“ ერთხელ თავითაც აცილა და „სიონის“ ბოლო იმედიც ჩაკლა.

იაშვილზე უფრო აქტიური დავითაშვილი გახლდათ, ბევრს მოძრაობდა, სიღრმიდან ცდილობდა შეტევას, ოღონდ მისმა პასებმა ხეირი ვერ მოიტანა.

ქვემოქართლელების გასაჭირზე უკვე ვთქვით, აი, „მესხეთის“ ბედს კი ბოლო ტურებში ძალლი არ დაჰყეფს — ორ გასვლით მატჩში ოთხი ქულა აიღეს, თანაც, გოლი არ გაუშვიათ.

### პრესკონფერენცია

*კობა თედიაშვილი:* ურთულესი მატჩი გვქონდა. მოედანიც სველი იყო, ჩვენ კი ბორჯომში ხელოვნურზე თამაშს ვართ მიჩვეულნი. კონტრშეტევებზე მსურდა თამაშის აწყობა, არ გამოგვივიდა.

*ოთარ კორღალიძე:* ვულოცავ მეტოქეს ერთ ქულას, ჩემს ფეხბურთელებს კი ბრძოლისთვის მადლობას ვუხდი. თამაში კარგი იყო, მაგრამ 0:0 ჩვენთვის არასასურველია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**დღეს**

**მგლები — სპარტაკი**
**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი**
**დინამო — ოლიმპი**

# მოსწავლე და მასწავლებელი

ბორჯომი. 30 სექტემბერი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 200 მაყურებელი

## ბორჯომი 3:2 გაგრა

1:0 პ. ხორგუაშვილი (2), 2:0 კიკნაძე (7), 2:1 დათუნაშვილი (32), 3:1 კიკნაძე (58), 3:2 ფილია (73)

| ბორჯომი | გაგრა |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, ზ. ლაცაბიძე, ქარქუზაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე (ავალიანი 58), ნოზაძე (ქავთარაძე 79), ალავერდაშვილი (ბაქრაძე 70), კიკნაძე *სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ხულორდავა, გოგიჩაიშვილი, ლომიძე | გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია (ხოკერაშვილი 86), გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ჩარგეიშვილი, ტყეშელაშვილი, გაბედავა, ზ. დათუნაშვილი (ლ. სეთურიძე 89), შარიქაძე (ფილია 72), ზ. მეტრეველი *სათადარიგონი:* კოტრიკაძე, კვანტალიანი, თ. მეტრეველი, ლალიანი |
| მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი | მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: მგელაძე (45), ვაშაკიძე (45), ლაცაბიძე (74)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დირექტორი: მ. ნორაკიძე

**ბეჟან ჩხეიძე ბორჯომიდან**

**სამი** ტური გაილია და იმდენი სენსაცია დაფიქსირდა, შეიძლება, მთელ ჩემპიონატს ეყოფა.

ასე მოხდა გუშინაც — აუტსაიდერად მიჩნეულმა „ბორჯომმა“ თვით „დინამოს“ გამამწარებელ „გაგრას“ სძლია.

თამაში საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწყო ორივე გუნდმა და უკვე მე-2 წუთზე გოლიც ვნახეთ: მარჯვენა ფრთაზე გენო ბეჟანიძე გაისარჯა კარგად, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და მაღალი ბურთი ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც პავლე ხორგუაშვილმა უძლიერესი დარტყმით დაცხრილა გაგრელთა კარი — 1:0.

საპასუხო შეტევა უკვე სტუმრებმა განახორციელეს. თამაზ ჩარგეიშვილმა კარგად უპასა გიორგი გაბედავას, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს.

მე-7 წუთზე კი მასპინძლებმა მეორედაც იხეირეს — ირაკლი კიკნაძემ მცველები მიმოფანტა, საჯარიმოში შესულმა მეკარესაც აჯობა და 2:0.

მერე ისევ „გაგრამ“ ჩაიგდო ბურთი. შარიქაძეს, ჩარგეიშვილს და გაბედავას სულ დაძაბულობაში ჰყავდა მასპინძლები, თუმც ბორჯომელთა მიმართ უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალედ გაართვეს თავი შეტევებს.

მე-18 წუთზე ზამორა დათუნაშვილმა მარჯვენა ფრთიდან კარგად ჩააწოდა საჯარიმოში და ზვიად მეტრეველს დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

მალევე უკვე ვალტერ ხორგუაშვილმა იაქტიურა მარცხენა ფრთაზე, მაგრამ რევაზ თევდორაძემ დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

32-ე წუთზე სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს. მარცხენა ფრთაზე გაბედავამ ითამაშა კარგად, ჩამოიტოვა მცველები და მის ჩაწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი დათუნაშვილმა — 2:1.

ტაიმის ბოლოსაც შეიქმნა ხიფათი — ლაშა ვაშაკიძის ჩაწოდებულს კიკნაძე ურტყამდა თავით და მეკარემ ვაი-ვაგლახით მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს გუნდებმა, შეტევას შეტევა ცვლიდა — თამაშმა სანახაობრივად აშკარად გაამართლა.

50-ე წუთზე სტუმრებმა კუთხური გაითამაშეს. შარიქაძემ ჩააწოდა საჯარიმოში, ბურთი კარისკენ წავიდა და რომ არა ბექა შეყრილაძის ყოჩაღობა, გოლი გავიდოდა.

58-ე წუთზე მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, ირაკლი კიკნაძემ მიიღო ბეჟანიძისგან პასი, გათავისუფლდა მცველებისგან, შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან შეაგდო ბურთი „გაგრას“ კარში — 3:1.

73-ე წუთზე მასპინძელთა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. გაბედავას დარტყმული ბურთი მცველებისგან ასხლეტით ერეკლე ფილიას მიუვიდა და 3:2.

### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ვულოცავ ბორჯომელებს სამი ქულის აღებას. ძალიან ცუდად დავიწყეთ თამაში და შვიდ წუთში გაშვებული ორი ბურთის აღმოფხვრა გამოცდილ გუნდსაც გაუჭირდებოდა. უკმაყოფილო ვარ მთლიანად გუნდის თამაშით, განსაკუთრებით ეს ეხება დაცვის, რომლის შეცდომებითაც მივიღეთ სამივე ბურთი.

*გიორგი სუხიაშვილი:* წინა ტურში „სიონთან“ მატჩმა გვაჩვენა, რომ ყველასთან შეიძლება თამაში. ბატონი ვოვა ხაჩიძის დაწყებულ საქმეს ვაგრძელებ „ბორჯომში“ და იმედია, ნაკლს მალე გამოვასწორებთ.



# ქეცბაია? სიამოვნებით

**ათი დღე და, საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს კვიპროსთან, ოთხი დღის შემდეგ კი ბულგარეთსაც უმასპინძლებს. რა შეხსენება უნდა, რომ შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრა ირლანდიასთან (1:2) თბილისის ნაცვლად მაინცში გაიმართა და ფიფამ ახლაღა დაგვრთო ნება, შინ ვითამაშოთ. რა თქმა უნდა, ფიფა ამ შეხვედრებში მაქსიმალურ უსაფრთხოებას ითხოვს და ჩვენც ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას გავესაუბრეთ...**

— რა თქმა უნდა, ყველანი მობილიზებულნი ვართ, რათა კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩები უსაფრთხოდ ჩატარდეს. 7 ან 8 ოქტომბერს მერიაში გვექნება იმ სამსახურებთან შეხვედრა, ვინც უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. გპირდებით, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად იქნება დაცული.

— კეთილი. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი კრახით დაასრულა. როგორც ცნობილია, ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნება და ამ მხრივ სიახლე ხომ არ არის?

— მომავალი ციკლი 2009 წლის სექტემბერში იწყება და მანამდე საკმაო დრო გვაქვს, რათა რამდენიმე კანდიდატიდან ერთი ავირჩიოთ.

— სავარაუდო კანდიდატებს ვერ დაგვისახელებთ?

— ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

— ის თუ მაინც შეგვიძლიათ, გვითხრათ, არის თუ არა ამ კანდიდატებში თემურ ქეცბაია?

— არა მგონია, თემური ამ წინადადებას დათანხმდეს. ის ხომ „ანორთოსისს“ წვრთნის, რომელიც ჩემპიონთა ლიგაშია. ისე, ქეცბაიას კანდიდატურას დიდი სიამოვნებით განვიხილავთ.

— ერთიც მინდა გკითხოთ: ამ ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე თვეა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ხელფასები არ დარიგებულა. რა ხდება?

— არ ვიცი, საიდან გაიგეთ ეს ინფორმაცია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გრაფიკი არსებობს და ამის თაობაზე თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან.

**ნუკრი ლოლაძე**



# სეგრტს არ გაუმართლა: სტუკალოვი წავიდა

გეხსომებათ, მინსკში რუსეთთან სამარცხვინო წაგების მერე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა თავის გამარჯვებულ კოლეგას აამა — კარგია, რომ პოსტს შეინარჩუნებს; დღეს რომ კიდევ წაეგო ქართველებთან, ალბათ გადააყენებდნენო.

სეგრტის ამ განცხადებამ 0:4-ისგან გალიზიანებულ გულშემატკივრებს, სპეციალისტებსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს უარესად მოუშალა ნერვები. ფაქტობრივად, ის უკვე გაშვებულია ნაკრებიდან, მაგრამ არა თავისი ნებით...

აი, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ბორის სტუკალოვი კი, სეგრტისგან განსხვავებით, თავისით წავიდა.

სტუკალოვმა განცხადებაში დაწერა, ვერ შევასრულე ამოცანა, ანუ ჯგუფიდან ვერ გავედიო.

გეცოდინებათ, რუსთა 21-წლამდელებს ცოტა დააკლდათ გასვლამდე, ისინი საუკეთესო მეორე ადგილოსანთა ოთხეულში ვერ მოხვდნენ და ეს სტუკალოვმა მარცხად ჩათვალა.

სეგრტს კი ბოლო ადგილიც არ ეუხერხულა. ხედავთ განსხვავებას? მოკლედ, ულვაშა ხორვატმა სურვილი ვერ აისრულა — სტუკალოვი წავიდა.

ილია ნანობაშვილი

# ჩხარტიშვილი ისევ ფეხბურთში

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი ფეხბურთს დაუბრუნდა — „ბათუმისა" და ქობულეთის „შუქურას" ყოფილი თავკაცი პირველლიგელ „სამტრედიას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

სამტრედიელებმა ახალი მწვრთნელის ხელში უკვე ჩაატარეს ერთი თამაში — „ბათუმს" სტუმრად 2:0 მოუგეს.

შეგახსენებთ: ჩხარტიშვილი „სამტრედიას" შარშანაც წვრთნიდა, თუმცა შემდეგ უქმობდა. ახლა კი მან მამუკა მესიაჩენკო შეცვალა.

კახა ზალამბერიძე

# ბოლქვაძე მაგარია, მაგრამ შევცვლით

ექსამერელი და ამჟამად ზაქათალის „სიმურგში" მოთამაშე ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ყარაბახთან" გააძევეს, თუმც მისიანებმა 2:0 იმარჯვეს. „სიმურგის" უკრაინელი მწვრთნელი რომან პოკორა ჩვენიანზე ამბობს, ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში, თუმცა მის გარეშე თამაშს უნდა მივეჩვიოთო.

„საწყენია, რომ დავითმა უბრალო სიტუაციაში მიიღო წითელი ბარათი და „ქარვანთან" მატჩს გამოტოვებს. ქართველი ნახევარმცველი ჩვენთვის დიდი ძალაა, აქამდე მის გარეშე არც გვითამაშია, თუმცა გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც მისი შეცვლა შეუძლიათ".

ილია ნანობაშვილი

# წილი 3-ში იყრება

3 ოქტომბერს, 13 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გაიმართება საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა.

შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში ეს გუნდები დაწყვილდებიან: თბილისის „ვიტ ჯორჯია", „ამერი", „დინამო", „ლოკომოტივი", ბოლნისის „სიონი", რუსთავის „ოლიმპი", „ზესტაფონი" და მარტვილის „მერანი".

კახა ზალამბერიძე

# თურმე გოლებიც გვცოდნია

თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს გოგონათა 19-წლამდელთა ნაკრებმა 3 გოლი გაუტანა ევროშესარჩევი ტურნირის მასპინძელ მაკედონიას, მაგრამ... 4 გაუშვა და მესამე თამაშიც წააგო.

ჯგუფის მეორე მატჩში კი საფრანგეთმა 3:0 სძლია ბელგიას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 17:0 | 9 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 25:4 | 6 |
| მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:14 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:32 | 0 |

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

## I წრე. 4 ტური

### აღმოსავლეთი

**დინამო 2 1:0 გაგრა 2**

1:0 სიხარულიძე (36)

**დინამო 2:** ლორია, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, გუგავა, ცერცვაძე (ვ. ბოლქვაძე 62), კაკუბავა, ქამუშაძე, ჯოხაძე (ჭადაშვილი 68), ი. სიხარულიძე, ქანთარია (ჯიუსი 46)

*სათადარიგონი:* ჭყონია, გ. დარასელია, კოპაძე, მამრაში

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

**გაგრა 2:** ა. კოტრიკაძე, გ. სეფიაშვილი, ქვრივიშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, ლალიანი, ი. ხელაძე, თ. მეტრეველი (დ. ჩხაიძე 60), ყიფიანი (ე. კილაძე 46), ლ. სეთურიძე (ა. აბაშიძე 57), ხოკერაშვილი

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, ა. ტეტუნაშვილი, მესხი, სუხიშვილი

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

გაფრთხილება: ხელაძე, კვანტალიანი, ქამუშაძე, ქვრივიშვილი, ცერცვაძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

100 მაყურებელი

**ჩიხურა 1:1 ამერი**

0:1 ტიკურიშვილი (28), 1:1 მიქაძე (75)

**ჩიხურა:** დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, ჭილაძე, ზ. ნოზაძე (ზაბახიძე 76), დოლონაძე, ლ. კობახიძე (პეტრიაშვილი 76), მ. მიქაძე, როგავა (გულიაშვილი 76)

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ჩიკვაიძე, ცარციძე, ნ. მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, სანიკიძე, კაკაბაძე, ხუციძე (ქებაძე 86), ლაფერაშვილი (გ. ხელაძე 72), ჩიმაკაძე, ლ. ბოჯგუა, ტიკურიშვილი, ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ცხოვრებაშვილი, გ. ჯელაძე, გრძელიძე, ადეიშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ლაფერაშვილი, ტიკურიშვილი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

300 მაყურებელი

**ჰერეთი 1:0 თბილისი**

1:0 თოფურია (83)

**ჰერეთი:** ბილიხოძე, ხარაიშვილი, ლომიძე, შ. ფარულავა, გ. მაჭარაშვილი, თანდაშვილი (გვარაძე 67), კუპრაშვილი, ყორღანაშვილი, შ. ლობჟანიძე, თოფურია (ლ. მეტრეველი 85), ტაბატაძე (წვერავა 73)

*სათადარიგონი:* მატვიენკო, ი. მაჭავარიანი, ზედგენიძე, ბ. გელაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

**თბილისი:** ხარშილაძე, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, ოდიშარია, ხოხონიშვილი, გ. გურეშიძე, მიქელაძე (ი. მოდებაძე 87), ზვიადაძე (ჯაში 57), კბილცეცხლაშვილი, სებისკვერაძე, ტორონჯაძე (ქაფოძე 84)

*სათადარიგონი:* გიორგობიანი, ბელქანია, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ხოხონიშვილი, მაჭარაშვილი, გვარაძე

მსაჯი: ზვ. ასკაროღლი

200 მაყურებელი

**დილა 3:0 სიონი 2**

1:0 ჩიხრაძე (65), 2:0 ფაილოძე (66), 3:0 ჩიხრაძე (85)

**დილა:** კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, სორდია, გ. თარგამაძე, ჩიხრაძე, ბ. მაჭავარიანი, ჩერქეზიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი (სადალაშვილი 46), ბარამიძე, ფაილოძე (პაპიტაშვილი 84), იჩქითი (გ. გურეშიძე 60)

*სათადარიგონი:* დგებუაძე, მინდიაშვილი, ივანაშვილი, ი. თოდუა

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

**სიონი 2:** გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, ნაყოფია, იობაშვილი, გაბიძაშვილი, სანიკიძე, ბუბუტეიშვილი (ალფაიძე 70), უგულავა, ვ. უგრეხელიძე, ჯიქიძე, მ. ოქროპირიძე

*სათადარიგონი:* გიგინეიშვილი, მ. ჭაველაშვილი, გაბრიჭიძე, ი. ბრეგვაძე, გიორბელიძე, ბ. ჭაველაშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: ჯიქიძე, ბარამიძე, პაპიტაშვილი

მსაჯი: მ. ურუშაძე

300 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 3:0 ნ. დინამო**

1:0 ზაქრაძე (68), 2:0 მაისაშვილი (90პ), 3:0 ზაქრაძე (90)

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, დ. მაისაშვილი, ლანიაშვილი, ვასაძე, როსტიაშვილი (ფურცელაძე 72), გ. ჯანელიძე (გოგიაშვილი 81), სვანიძე (ზაქრაძე 59)

*სათადარიგონი:* გამრეკლიძე, დვალაშვილი, ცხოვრებაძე, ღურბელეიშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ლაპარტყავა (ა. შენგელია 46), ბ. მამარდაშვილი, ა. კალაძე, დაბრუნდაშვილი, უხუნჭუნაშვილი (ნეფარიძე 62), ბოკუჩავა, გურაბანიძე (კ. ნაჭყებია 46), გ. გრიგალაშვილი, ღვთისავრიშვილი, ი. ქავთარაძე

*სათადარიგონი:* გაბუნია, კ. დევიძე, ჩიხლაძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: ლაპარტყავა, ქავთარაძე, ხურცილავა, ლანიაშვილი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სიონი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ჩიხურა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:4 | 5 |
| ნორჩი დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჰერეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| გაგრა 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

### მეხუთე ტური

2 ოქტომბერი

ბაია – ზესტაფონი 2

სამტრედია – მერანი (მ)

ჭიათურა – ბათუმი

გურია – ტორპედო 2008

კოლხეთი – მეშახტე

### დასავლეთი

**მეშახტე 1:1 გურია**

1:0 ავალიშვილი (23პ), 1:1 მგელაძე (88)

**მეშახტე:** გიორგაძე, დონაძე, ი. გვეტაძე, მ. ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, გოგუა, გობეჯიშვილი, გ. გვენეტაძე, ავალიშვილი, ბ. გვეტაძე

*სათადარიგონი:* თორთლაძე, რ. კალანდაძე, წერეთელი, ლომთაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**გურია:** აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ცინცაძე, გოგიბერიძე (ჯაყელი 82), ი. კილაძე, გ. იმნაძე, ბეგოიძე, მ. კოტრიკაძე (სულაბერიძე 75), ს. მოდებაძე, ხ. მგელაძე, კვერენჩხილაძე (ქურიძე 54)

*სათადარიგონი:* გოგუაძე, ჟორბენაძე, დათიაშვილი, შენირული

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: ბ. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, გობეჯიშვილი, კვერენჩხილაძე, კილაძე

გაძევება: გობეჯიშვილი (90)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**ბათუმი 0:2 სამტრედია**

0:1 ბაკურაძე (54), 0:2 ეცადეიშვილი (75)

**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გალოგრე, ბ. მახარაძე, ტულუში (გორჯელაძე 46), დემურაძე, მალაზონია (მჭედლიძე 65), ზოიძე (ლ. კალანდაძე 46)

*სათადარიგონი:* ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე, ქადიძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, სამსეიშვილი, ნინუა, ლ. მახარაძე (ეცადეიშვილი 74), ჩომახიძე, ბაკურაძე, გ. თურმანიძე, ადეიშვილი, ბოხუა

*სათადარიგონი:* კეკელიძე, თელია, ჯანგველაძე, სალდაძე, ი. შენგელია

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: რამიშვილი, ჩომახიძე, ბ. მახარაძე

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

100 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 1:0 ხობი**

1:0 ბერიძე (15)

*გ. გოგენიამ ვერ გაიტანა პენალტი (86)*

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, ხიხაძე, სანტოსი, ზ. ლობჟანიძე, მაკარიანი, ბერიძე (გ. ხაჩიძე 66), ბუკია, ლომაშვილი, გორგიაშვილი, სტეფანიშვილი (ლ. ცხადაძე 77), კეჭაყმაძე (კვირიკეიშვილი 61)

*სათადარიგონი:* სუხიაშვილი, ბერუაშვილი, კამლაძე, ო. ბოჭორიშვილი

მწვრთნელი: გია ნადირაძე

**ხობი:** ხარძეიშვილი, მ. შონია, გ. გოგენია, ა. კვირკველია, ჯამბურია, ლატარია, ლეფსაია (გრიგოლია 61), ფირცხელავა, გაგუა, სართანია, კ. გოგენია

*სათადარიგონი:* ჭურღულია, ჩაჩიბაია, ლ. თოდუა, რ. ჩიტაია, ალანია, ლ. ჭითანავა

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: მაკარიანი, ძაძამია, გორგიაშვილი, ბუკია, გაგუა

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

**ტორპედო 2008 0:2 ჭიათურა**

0:1 სეფერთელაძე (51), 0:2 სევასტოპულო (71)

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, ბ. ჩხეტიანი (გოდერიძე 66), კოსტავა (დანელია 61), ბესარაშვილი (ე. მუშკუდიანი 74), კობერიძე, ქობალია, ტიელიძე

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, რატიანი, შველიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ბრუსლი, კევლიშვილი, ეგაძე, სეფერთელაძე, ვ. ტყემალაძე, ნგოკო (გ. ხაჩიძე 74), ზ. ხაჭიპერაძე (გაფრინდაშვილი 88), სევასტოპულო (კ. ძაგანია 86), გ. ილურიძე

*სათადარიგონი:* ზ. დარჯანია, ნ. ტყემალაძე, ჯაჯანიძე, ცუცქირიძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ბიბილაშვილი, ხარებავა, ეგაძე, ნგოკო

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

200 მაყურებელი

**მერანი (მ) — ბაია**

*ჩატარდება 10 ოქტომბერს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| სამტრედია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| მერანი (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ბათუმი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| გურია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ტორპედო 2008 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| მეშახტე | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

### მეხუთე ტური

2 ოქტომბერი

თბილისი – ვიტ ჯორჯია 2

ამერი – ჰერეთი

გაგრა 2 – ჩიხურა

სიონი 2 – დინამო 2

კახეთი – დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ჟურნალისტის ერთი იტალიური დღე



მაია ჯიჯავა
რომიდან




„რომა“ — „ატალანტას“ ამ მატჩს „სარბიელის“ კორესპონდენტიც დაესწრო

გაზეთ „სარბიელს“ მიეცა შანსი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩემპიონატის, სერია A-ს და, შესაბამისად, იტალური ფეხბურთისა და ჟურნალისტიკის შიდა სამზარეულოში ჩაეხედა. გამოგიტყდებით და ალბათ არც გიკვირთ, რომ ქართული რეალობიდან სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში აღვმოჩნდი, სადაც ბევრ დადებითთან ერთად, რა თქმა უნდა, უარყოფითსაც წავაწყდი. ამ წერილში მინდა, ჩემი პირველი შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ და დეტალურად გიამბოთ, რა გზა გავიარე იმისათვის, რათა ჩვენს მკითხველს ოპერატიულად მივაწოდო იტალიური ფეხბურთის ამბები...

## გვითხარი, ვისი მეგობარი ხარ, თორემ ბიუროკრატიაში ჩაიხრჩობი

**ბუნებრივია**, რომში ჩამოსვლისთანავე ვცადე, დამოუკიდებლად დავკავშირებოდი იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, რათა ქართული სპორტული გაზეთის, „სარბიელის“ კორესპონდენტისთვის სტადიონებსა და პრესკონფერენციებზე დაუბრკოლებლად მოხვედრის საშუალება მოეცათ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მსგავსად, ბიუროკრატიას იტალიაშიც მყარად აქვს ფეხი მოკიდებული.

რა თქმა უნდა, უცხოელი ჟურნალისტისთვის დახმარებაზე პირდაპირი უარი არავის უთქვამს, თუმცა ნანატრი აკრედიტაციის მოლოდინში დრო გადიოდა და მეც ფედერკალჩოს ერთი დეპარტამენტიდან მეორეში მაგზავნიდნენ. ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: „აჰ, ძალიან სასიამოვნოა, რომ ქართულ გაზეთს ჩვენი ფეხბურთის მაღალ დონეზე გაშუქება სურს, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით და აგიხსნით, რა პროცედურები უნდა გაიაროთ, თუმცა ამას უცხოურ მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს...“

უცხოურ მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ამ პროცედურებს, იტალიურ პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თაობდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სანამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დეპარტამენტები ერთმანეთში არკვევდნენ, რომელ მათგანს ევალებოდა უცხოელი, არა ევროკავშირის წევრი ქვეყნის ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის გაცემა, სხვა გზითაც ვცადე ბედი და იტალიასა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და პოპულარული გაზეთის, „გაძეტა დელო სპორტის“ რედაქციას მივმართე თხოვნით, ერჩიათ, რა გზით მიეღო „სარბიელის“ კორესპონდენტს ნანატრი აკრედიტაცია, ისე, რომ ზედმეტი ბიუროკრატიისთვისაც აmeridebina თავი.

აი, აქ კი აღმოვაჩინე, რომ თურმე აპენინის ნახევარკუნძულზეც, ისევე, როგორც ჩვენთან, ნაცნობობით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. ამგვარად, მას შემდეგ, რაც „გაძეტა დელო სპორტის“ რომის განყოფილების ვიცე-დირექტორმა და მთავარმა რედაქტორმა სინიორ რუჯერო პალომბომ წამყვან ჟურნალისტ მასიმო ჩეკინისთან ერთად „რომას“ ბაზაზე, ტრიგორიაში, მედიასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ სინიორ ჯანი კასტალდის დაურეკა და სთხოვა, მათი ნაცნობი ქართველი ჟურნალისტისთვის „ოლიმპიკოს“ სტადიონზე, ტრიგორიას ბაზასა და პრესკონფერენციებზე აკრედიტაცია მიეცა, ჩემი პრობლემა მოგვარდა და გავხდი რომში ოფიციალურად აკრედიტირებული ქართველი ჟურნალისტი.

აქვე მინდა, ჩემი და „სარბიელის“ სახელით, დიდი მადლობა გადავუხადო „გაძეტა დელო სპორტის“ რედაქციას, განსაკუთრებით კი სინიორ რუჯერო პალომბოს, სინიორ მასიმო ჩეკინის და ასევე ტრიგორიას მედიასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ სინიორ ჯანი კასტალდის, იმ თანადგომისა და დახმარებისთვის, რაც ჩვენი გაზეთის მიმართ გამოიჩინეს.

...კვირა დილით, სტადიონზე წასვლამდე, „რომას“ ბაზისკენ, ტრიგორიისკენ ავიღე გეზი. რომი ძალიან დიდი ქალაქია, 7-მილიონიანი მოსახლეობით, ტრიგორია კი ქალაქგარეთ, მოშორებით მდებარებს, რათა ფეხბურთელებს მშვიდად მუშაობის საშუალება ჰქონდეთ.

2-საათიანი მგზავრობის, მეტროს და ავტობუსის გამოცვლის შემდეგ, როგორც იქნა, ტრიგორიის უშველებელ გალავანთან აღმოვჩნდი. ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არავინ იყო, თუმცა ტიფოზების კვალი ყველგან ჩანდა. გალავნის გარშემო პლაკატები იყო გამოფენილი წარწერებით: „გრაციე რომა“, „ფორცა რომა“, „მოვკვდებით რომასთვის“ და ასე შემდეგ. იქაურობა ყვითელ-წითელი ფერებით იყო აჭრელებული.

ზარი დავრეკე. „რომას“ გერბიან კოსტუმში გამოწყობილი მცველი თავაზიანად მომესალმა და თავი რომ წარვუდგინე, მითხრა, სინიორ ჯანი კასტალდიმ „რომა“ — „ატალანტას“ მატჩისთვის თქვენი ბილეთი „ოლიმპიკოს“ სტადიონის ჟურნალისტთა ცენტრში დატოვაო.

თქმადაც არ ღირს: ტრიგორიის ბაზაზე იდეალური წესრიგი და სიკოხტავეა.

ამგვარად, „რომას“ ბაზიდან „ოლიმპიკოსკენ“ გავემართე. სტადიონი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აპენინებზე ყველაზე პოპულარულ სპორტულ უნივერსიტეტს შორის.

მიუხედავად ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე გასაოცარი სიმშვიდეა. გარშემო ვერც მაღაზიებს, კომერციულ ცენტრებსა და კაფე-რესტორნებს ნახავთ.

მეტროდან ამოსულმა, რადგან სტადიონი ახლოს მეგულებოდა, გზა ფეხით განვაგრძე და რომაელ გულშემატკივრებში გავერიე. მათთვის „რომას“ მატჩზე დასწრება და საყვარელი გუნდის მხარდაჭერა სახალხო ზეიმის მსგავსი მოვლენაა. აქ ყველა ასაკის და სქესის ადამიანს ნახავთ — ყველანი ყვითელ-წითელ ფერებში არიან გამოწყობილნი. ქალებს სამკაულებიც კი „რომას“ გერბის გამოსახულებით უკეთიათ. აღარაფერს ვამბობ, ასაკოვან წყვილებზე, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი რომ მიდიოდნენ სტადიონისკენ და პატარა ბავშვების სიმრავლეზე.

წარმოიდგინეთ, რამხელა დადებით ემოციას იწვევს ტიფოზთა ასეთი ენთუზიაზმი.

შიგადაშიგ, ახალგაზრდა გულშემატკივართა ჯგუფები „რომას“ ჰიმნს წამოიწყებდნენ-ხოლმე, რომე-



„რომას“ მუზეუმი ტრიგორიაზე

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ასეთია „სტადიო ოლიმპიკოს" ხედი პრეს-ლოჟიდან

ლსაც გზად მიმავალი ხალხი აპლოდისმენტებითა და „ფორცა რომას" შეძახილებით აჰყვებოდა.

როგორც იქნა, „ოლიმპიკოს" ულამაზეს სტადიონსაც მივადექი და პირველი, რაც თვალში მომხვდა, პოლიციელებისა თუ კარაბინერების უჩვეულო სიმრავლე იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ატალანტას" გულშემატკივრებს მატჩზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ, მსგავსი სიმრავლე შეიძლება, გადაჭარბებულადაც კი მოგჩვენებოდათ.

სტადიონის გარშემო, ყველა შესასვლელთან ახალგაზრდები იდგნენ, რომლებიც გულშემატკივრებს უფასოდ ურიგებდნენ „რომასთვის" მიძღვნილ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს, რომლებშიც ფეხბურთელთა პოსტერებიც იყო. საბოლოო ჯამში, სტადიონის შესასვლელთან მდებარე ჟურნალისტა ცენტრთან მისვლისას 3 ფერადი გაზეთი და 4 ჟურნალი მეჭირა ხელში.

ჟურნალისტის მოწმობის, პირადობის დამადასტურებელი საბუთისა და ტრიგორიის აკრედიტაციის წარდგენის შემდეგ, ჩემი კუთვნილი ბილეთი გადმომცეს და პრესისა და სპეციალური სტუმრებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან სტადიონის ეზოში შევედი. სანამ ეზოდან უშუალოდ სტადიონამდე მივაღწიე, მსგავსი პროცედურის გავლა კიდევ სამჯერ დამჭირდა და, როგორც იქნა, „ოლიმპიკოზე" შევაბიჯე. გავიარე დერეფანი, რომლის ორივე მხარეს საპრესკონფერენციო დარბაზებია და ჟუნალისტებისთვის განკუთვნილ ლოჟაში აღმოვჩნდი — ეს არის ტიფოზებისგან სრულიად იზოლირებული და დაცული ადგილი.

მედიის სექტორის ქვედა ნაწილი საგანგებო სტუმრებისთვის არის განკუთვნილი, რომელთაც მატჩის მსვლელობისას „რომას" საკლუბო უნიფორმიანი ოფიციანტები ყავითა და სხვადასხვა სასმელით უმასპინძლდებიან.

ჟურნალისტებს აქ მაქსიმალური პირობები აქვთ მშვიდად სამუშაოდ. თითოეულ მათგანს საკუთარი მაგიდა და მასზე დამაგრებული ტელევიზორი აქვს, სადაც მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია მიდის. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ნოუთბუქის შეერთებისა და უფასო ინტერნეტის საშუალებაც არის.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩვენს იტალიელ კოლეგებს ნაყოფიერი მუშაობისთვის „ოლიმპიკოს" სტადიონზე, ისევე, როგორც, იტალიის ყველა სხვა სტადიონზე, ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი.

გუნდების მინდორზე გამოსვლამდე სტადიონზე „რომას" ოფიციალური ჰიმნი გაისმა, რომელსაც ტიფოზებიც აყოლებდნენ ხმას.

წინა შეხვედრაში განცდილი მარცხისა და ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი თამაშის შემდეგ იტალიური პრესა „როსოჯალის" (ზოგი „ჯალოროსის" ეძახის და ორივე ფორმა სწორია) კრიზისზე ერთხმად საუბრობდა, ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დედაქალაქური გუნდისთვის ამ მატჩის მოგება.

ასეც მოხდა — „რომამ" 2:0 სძლია მოწინააღმდეგეს.

მატჩის შემდეგ მადლიერმა გულშემატკივრებმა აპლოდისმენტებით გააცილეს თავიანთი გმირები და სტადიონიც ნელ-ნელა დაიცალა.

დასრულდა კიდევ ერთი ემოციებით აღსავსე დღე „ოლიმპიკოზე", მაგრამ ამით არ დასრულებულა ჟურნალისტთა მისია (რომელთა შორის ერთადერთი უცხოელი ჟურნალისტი სწორედ „სარბიელის" კორესპონდენტი გახლდით).

მედიის სექტორიდან იტალიელ კოლეგებთან ერთად, ეგრეთ წოდებულ „ძონა მისტას" ტერიტორიაზე გადავინაცვლეთ, ანუ გასახდელთან ახლოს, სადაც ფეხბურთელები მატჩის შემდეგ პრესასთან კომენტარებს აკეთებენ.

ნახევარსაათიანი ამაო ლოდინის შემდეგ „რომას" მედიასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის მოადგილე გამოვიდა და გამოგვიცხადა, რომ გამარჯვების მიუხედავად, ამ ეტაპზე „როსოჯალის" ფეხბურთელებს კომენტარების გაკეთება ეკრძალებოდათ.

უკმაყოფილების მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე გადავედით, ანუ მწვრთნელების კომენტარის მოლოდინში საპრესკონფერენციო დარბაზში გადავინაცვლეთ.

„რომას" თავკაც ლუჩანო სპალეტის მედიასთან გამოსვლა ოდნავ შეაგვიანდა, რადგან ერთ-ერთი სპორტული გადაცემის პირდაპირ ეთერში ჰქონდა ჩართვა.

ყველა საფეხბურთო კლუბის მწვრთნელი სეზონის დაწყებამდე აფორმებს კონტრაქტს ტელევიზიებთან და ვალდებულნი არიან, მატჩის დამთავრებისთანავე პირველი კომენტარი სწორედ იმ ტელევიზიისთვის გააკეთონ.

ამგვარად, ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები სპალეტის მოლოდინში დარბაზში დამონტაჟებული ეკრანიდან ვიგებდით იტალიის დანარჩენ სტადიონებზე განვითარებულ მოვლენებსა და ფეხბურთელებისა და მწვრთნელების კომენტარებს.

ცოტა ხანში პრესკონფერენციაზე „ატალანტას" თავკაცი ლუიჯი დელ ნერი მოვიდა. მისი კომენტარი საკმაოდ მშრალი იყო, უკმაყოფილება გამოთქვა მარცხის გამო, მომდევნო შეხვედრებში გამარჯვებას დაგვპირდა და დაგვემშვიდობა. მერე დარბაზში სპალეტი შემოვიდა, რომელსაც რომაელი ჟურნალისტები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

მე კი, ამ ყველაფრის უშუალო მონაწილეს, ერთი სურვილი გამიჩნდა — მალე ვნახო საქართველოს ჩემპიონატში მსგავსი ემოციებით სავსე დღეები, მსგავსი წესრიგი და ჟურნალისტებისთვის მუშაობის მსგავსი პირობები.




წითელ-ყვითელი ტიფოზები

# სად ნიუკასლი და სად უნიტაზი?



**ვინ იცის,** რომ ამბობენ, „ნიუკასლ იუნაიტედს“ საქმე ჩასარეცხად აქვსო, მართალია. აბა, რატომ იყიდდა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი, 90-იან წლებში „ჩელსის“ ვარსკვლავი დენის უაიზი ამდენ ტუალეტის ქაღალდს? მონტაჟი ან რაიმე მამაძაღლობა არ გეგონოთ, „დეილი მეილის“ ფოტომონადირეებმა ეს სურათები უოტფორდის სიახლოვეს, კოსტკოში გადაიღეს. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლს“ ხალხის საყვარელი მწვრთნელი კევინ კიგანი წაუვიდა და მისი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი დენის უაიზთან დაპირისპირებაც გახლდათ — უაიზი და კლუბის მეპატრონე მაიკ ეშლი მწვრთნელის ზურგსუკან ყიდდნენ და ყიდულობდნენ ფეხბურთელებს, არადა ელემენტარული ლოგიკა მოთამაშეების შერჩევას მწვრთნელისგან მოითხოვს...

ერთი სიტყვით, „კაჭკაჭებს“ საქმე აერიათ: კიგანი გაიქცა, ეშლიმ კი განაცხადა, რომ კლუბს ყიდის. რაა გასაკვირი — სანამ არ გაირკვევა, ვისია კლუბი და რა უნდა ახალ მეპატრონეს, კიგანის შემცვლელს ვერავინ დანიშნავს, ფეხბურთელები კი თავს უპატრონოდ გრძნობენ და თამაშს თამაშზე აგებენ. გამოსავლის ძიებაში ეშლიმ დროებითი მწვრთნელის ვარიანტი მოიფიქრა. ჯო კინეარი — ასე ჰქვია კაცს, ვინც „ნიუკასლ იუნაიტედი“ ექვსი-შვიდი თამაშით ჩაიბარა, თუმცა არც მისი დებიუტი გამოდგა დიდად წარმატებული. შაბათს, კინეარის ხელმძღვანელობით, „ნიუკასლმა“ „ბლექბერნთან“ 1:2 წააგო.

ორშაბათს კინეარმა ვარჯიშზე მხოლოდ ის ფეხბურთელები დაიბარა, ვისაც „ბლექბერნთან“ არ უთამაშია, სამშაბათს კი საწვრთნელ ცენტრში უკვე ყველამ მოიყარა თავი.

„ამდენმა წაგებამ უკვე უამრავი ადამიანი შეაწუხა — განაცხადა „ნიუკასლის“ ვეტერანმა ვარსკვლავმა მაიკლ ოუენმა — კარიერის განმავლობაში ისეთ კლუბშიც ვყოფილვარ, სადაც საკუთარი თავის რწმენა არ ჰქონდათ და ისეთშიც, სადაც საკუთარი შესაძლებლობებისა სწამდათ. ამიტომაც დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ საკმარისია, გუნდმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგოს, რომ ის კალაპოტიდან ვარდება და კარგ შედეგებსაც ვეღარ აღწევს. დღეს „ნიუკასლში“ სწორედ ამის დეფიციტი გვაქვს“.

ამასობაში კი საქმეს ავსტრალიელი მარკ ვიდუკა დაუბრუნდა. მას ტრავმის გამო ოთხი თვეა, ბურთისთვის ფეხიც არ მიუკარებია და გამოჯანმრთელებით გახარებული, „ნიუკასლის“ დღევანდელ კრიზისზე ცუდს ვერაფერს ამბობს.

და კიდევ, „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ შეძენა მავანმა ნიგერიულმა კომპანიამ მოიწადინა. მისმა პრესწარმომადგენელმა კრის ნათანიელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება კლუბის შეძენასთან დაკავშირებით მხოლოდ ჩვენ შევიტანეთ. ვფიქრობ, „ნიუკასლ იუნაიტედი“ სხვა მყიდველების გამოჩენასაც დაელოდება და მხოლოდ ამის მერე მიიღებს გადაწყვეტილებას“.

**პაპუნა ძედია**

# ბოდიში, ბატონო!



რობ სტაილზი

**ასეც** ხდება: ინგლისში მსაჯმა ბოდიში მოიხადა. მიზეზი: შაბათს, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბოლტონის“ შეხვედრისას, ბოლტონელმა ლოიდ სემიუელმა მანჩესტერელი კრიშტიანუ რონალდუ საჯარიმოში წააქცია, მისტერ რობ სტაილზმა კი პენალტი არ დანიშნა. თან, ბოდიშიც არის და ბოდიშიც. სტაილზმა თავისი წუხილის საჯაროდ, მთელი ქვეყნის გასაგონად გამოცხადება ინგლისელ არბიტრთა ორგანიზაციას PGMOL-ს სთხოვა. ერთი სიტყვით, თავისი ბოდიში ყურში არავისთვის უჩურჩულია, შეცდომა ვაჟკაცურად აღიარა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო წლის განმავლობაში სტაილზმა უკვე მეორედ მოიხადა ბოდიში. პირველად ეს გასულ სეზონში, აგვისტოს თვეში მოხდა, როდესაც „ენფილდ როუდზე“ ლივერპულელ სტივ ფინანს ჩელსელი ფლორან მალუდა არ წაუქცევია, მსაჯმა კი პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა და ლონდონელებს შინ (1:1) ქულა წაალებინა. ამ შეცდომის გამო არბიტრი დასაჯეს.

სხვათა შორის, ბატონი სტაილზი ერთი დასჯა მოგვიანებით, მარტშიც დასაჯეს — „ბირმინგემისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრაში ბირმინგემელებს ტყუილი პენალტი დაუნიშნა.

როგორც ცნობილი გახდა, რობ სტაილზს თამაშის შემდეგვე სურდა საჯარო მობოდიშება, მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო PGMOL-ს წესკანონს დაარღვევდა.

საინტერესოა, რომ სტაილზი იმ ადგილთან, სადაც საპენალტე ეპიზოდი მოხდა, ახლოს იდგა, ანუ, როგორც მსაჯს, პოზიცია პროფესიულად ჰქონდა შერჩეული. სხვა ამბავია, რომ თავად ეპიზოდი გარეგნულად არ ჰგავდა პენალტს — თვით სერ ალექს ფერგიუსონმაც კი არ თქვა (ასეთი სასწაულები ხდება), თერთმეტმეტრიანი გვეკუთვნოდა და არ დაგვინიშნესო.

ინგლისური გაზეთები კი წერენ, რომ ბოლო დროს მსაჯთა ბოდიშები გახშირდა. იხსენებენ ორი კვირის წინანდელს, როდესაც ალან უაილიმ „ევერტონის“ მწვრთნელ დევიდ მოიესს დაურეკა და „სტოკთან“ შეხვედრაში პენალტის არდანიშვნისთვის მოუბოდიშა.

**პაპუნა ძედია**

# ზოგი შეცდა, ზოგიც უნამუსოა!

**„სარბიელის“** მკითხველისთვის ცნობილია, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ დასუსტებაში ხალხის ერთი ნაწილი ბრალს ესპანელ მწვრთნელს ხუანდე რამოსს სდებს. რამდენად მართალია ეს ხალხი? ამ საკითხზე ცნობილ ინგლისელ სპეციალისტს, თავის დროზე ქვეყნის ნაკრების თავკაცს ტერი ვენეიბლზს თავისი მოსაზრება აქვს. ის ფიქრობს, რომ „სპურზის“ დაჩაჩანაკებაში რამოსის დანაშაული დიდი არ არის.

„თუ გაინტერესებთ, რატომ დასუსტდა კლუბი ასე ძალიან, შორს ნუ წახვალთ. მიზეზი ზედაპირზეა: რობი კინისა და დიმიტარ ბერბატოვის გაყიდვა“ — დაწერა ვენეიბლზმა „სანში“, სადაც მესვეტედ მუშაობს.

ვენეიბლზი გაოცებულია, როგორ დაუშვა „სპურზის“ ხელმძღვანელობამ რამდენიმე კვირაში ორი წამყვანი მოთამაშის გასხვისება.

„როდესაც საქმე კრიტიკაზე მიდგება, ჩვენ ყველანი დამნაშავის ძიებას ვიწყებთ. ერთი ადამიანის მოძებნა და თითის მისკენ გაშვერა ყველაზე იოლი საქმეა, მაგრამ კინისა და ბერბატოვის გაყიდვამ უარავი რამ რომ გამოამჟღავნა, ფაქტია და მას ვერსად გავექცევით“ — განაგრძობს სპეციალისტი.

კერძოდ, ვენეიბლზი ფიქრობს,



დიმიტარ ბერბატოვი

რომ ხსენებული ორი ვარსკვლავის წასვლა თავკერძობასთან, არასწორ დამოკიდებულებებსა და სიხარბესთან იყო დაკავშირებული.

ვენეიბლზი: „ბულგარელი ფორვარდი ნიადაგ იმეორებდა, რომ „მანჩესტერში“ გადავლა მისი ოცნება იყო. გასაგებია, დიმი, შენი ოცნება ბანკში შენს ანგარიშზე დადებული თანხისთვის ნულების მომატება ყოფილა. მაგრამ, ნუთუ არასდროს დაფიქრებულხარ, რომ ოცნება „სპურზსაც“ ჰქონდა? არასდროს დაფიქრებულხარ იმაზე, რომ ამ გუნდმა საიდანღაც წამოგიყვანა, საუკეთესო თავდამსხმელების მარაქაში გაგრია და ამიტომ მათი ოცნების ასრულებაზე ზრუნვა შენი ვალდებულება იყო? გასაგებია, ამ ცხოვრებაში საკუთარი გზა გაქვს, მაგრამ შენი ქცევა სეზონის დასაწყისში — უკმაყოფილო მანჭვა, ცხვირის ჩამოშვება და თამაშზე უარის თქმა — კლუბს, რომელსაც უყვარდი და რომელმაც მოგიარა, ძალიან ძვირად დაუჯდა.

და რას ფიქრობ ყოფილ თანაგუნდელებზე, იმ ბიჭებზე, რომლებიც მიატოვე? როგორ გგონია, რას ფიქრობენ ისინი შენზე ახლა?

„სპურზის“ პრეზიდენტი ლივი ძალიან გაბრაზებულია. და საერთოდ, ყველაფრის კოსტუმიანი ადამიანისთვის გადაბრალება იოლი საქმეა, მაგრამ მე მას ბევრი წელიწადია, ვიცნობ და მისი ოცნებების შესახებაც კარგად ვიცი. ვიცი, რასაც აპირებდა ის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ ერთად“.

შემდეგ, ვენეიბლზი წერს, რომ ლივის ხელმძღვანელობით, ლონდონურმა კლუბმა აშკარად პროგრესის გზით დაიწყო სიარული. „ტოტენჰემი“ ყოველწლიურად ძლიერდებოდა და ფანების მოლოდინიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. გასულ სეზონში კი „სფურზი“ „კარლინგის“ თასის მფლობელი გახდა, მაგრამ დადგა შემდეგ სატრანსფერო სეზონი და ჩარხიც უკუღმა დატრიალდა.

„რასაკვირველია, „ტოტენჰემისგან“ ტრებლს (სამ შეჯიბრებაში გამარჯვება) არავინ ველოდით, მაგრამ ოთხეულში შესასვლელად რომ იბრძოლებდა, ეჭვი არ გვეპარებოდა. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ვერ დავიჯერებდით, ამ გუნდს ცხრილის ფსკერზე რომ ვიხილავდით“.

ვენეიბლზი ამბობს, რომ „სპურზის“ პრობლემები გასული სეზონის მიწურულსვე გამოიკვეთა, როდესაც ბერბატოვმა პირველად დაიწუწუნა, წასვლა მინდაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გაუგებარია, საკუთრივ კლუბმა რატომ მიიყვანა საქმე მაინცადამაინც სატრანსფერო სეზონის ბოლო წუთამდე? ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის რწმენით ეს სერიოზული შეცდომა გახლდათ.

„რაკილა საქმე მაინც ბულგარელის გაყიდვისკენ მიდიოდა „სფურზს“ ის თავიდანვე უნდა გაეყიდა და მისი შემცვლელის მოსაძებნად დროც დარჩებოდა, ახლა კი უამრავი ადამიანი წაგებული დარჩა. თუმცა, რატომ, მავანი მოგებულიც დარჩა — პრემიერლიგის დიდ ოთხეულს კონკურენტი არ გამოუჩნდა“.

**პაპუნა ძედია**

# ხულიგნები ცოტანი არიან



**„ბარსელონა“** და „ესპანიოლი“ ხომ ერთი ქალაქის, ბარსელონის ორი გუნდია და მათ შორის გასულ შაბათს დერბი გაიმართა, რომელიც, როგორც დერბებს სჩვევია, ინციდენტებით გამოირჩა. აი, სწორედ ამ ინციდენტებში დასდო „ესპანიოლის“ წარმომადგენლობამ ბრალი „ბარსას“ ხუთ ფეხბურთელს, რამაც „კატალონიის სიამაყის“ კაპიტანი, კარლეს პუიოლი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გააკვირვა.

პუიოლი დარწმუნებულია, რომ მისმა თანაგუნდელებმა გოლები სრულიად ნორმალურად იზეიმეს და ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, აღშფოთება და ჩხუბი რომ გამოეწვია.

მოგეხსენებათ, ხსენებული შეხვედრა უსიამოვნო ინციდენტების გამო რამდენჯერმე შეწყდა, ხოლო რაც შეეხება „ბარსას“ გოლებს, ისინი ტიერი ანრიმ და ლიონელ მესიმ გაიტანეს.

„თუკი იმ დღეს ვინმემ გამოამჟღავნა, რომ ძალადობის წინააღმდეგია, ეს ჩვენი ფეხბურთელები იყვნენ — თქვა პუიოლმა — როდესაც თამაში დასრულდა, გუნდი იმ მაყურებელს კი არ მიესალმა, მოედანზე მაშხალებს რომ ყრიდა, არამედ „ბარსას“ ჭეშმარიტ ქომაგებს.

გოლები კი, სრულიად ბუნებრივია, რომ მოედნის იმ ნახევარზე ვიზეიმეთ, რომელზეც გავიტანეთ. აბა, ერთმანეთისთვის მოსალოცად მთელ მოედანს ხომ არ გადავკვეთდით?!

მინდა დაგარწმუნოთ, რომ მაშხალები „ბარსელონას“ ყველა ქომაგს არ უსვრია. ჩვენი ბევრი მეგობარი და ნათესავი სწორედ იქ იჯდა, სადაც ისინი ჩამოვარდა. არც ყველა „ესპანიოლის“ ფანისთვის შეიძლება ხუან კარლოს უნსუესთვის ბოთლის სროლის დაბრალება.

ხალხი, რომელიც ასე იქცევა, უმცირესობაშია და ამიტომ, ვფიქრობ, რომ ბრალდებები აქ სრულიად ზედმეტია. ვერც კი დამიჯერებია, „ესპანიოლის“ წარმომადგენლებმა ასეთი რამ რომ თქვეს“.

**ბაპუნა ძიდია**

# საზიზღარი დომენეკი




**საფრანგეთის** ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენეკი თავის ფეხბურთელებს თრგუნავს და გუნდში შექმნილ ცუდ ატმოსფეროზე სრულად არის პასუხისმგებელი — აი, ასეთი რამ თქვა „ფრანს ფუტბოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ლურჯების“ მეკარემ გრეგორი კუპემ. კერძოდ:

„საფრანგეთის ნაკრებში ხალხი თავს ცუდად გრძნობს“ — ბრძანა მადრიდის „ატლეტიკოს“ გოლკიპერმა, რომელსაც ევრო 2008-ის ჯგუფური ეტაპის წარუმატებელი მატჩების შემდეგ ქვეყნის პირველ გუნდში აღარ უთამაშია. 35 წლის ვეტერანმა დომენეკის კრიტიკასთან ერთად ისიც განაცხადა, რომ ნაკრებიდან მიდის.

„დომენეკი ხალხით თამაშობს, მაგრამ ყველა, ვინც ხალხით თამაშობს, ბოლოს მარცხდება — ამბობს მეკარე — და, რასაკვირველია, ეს ყველაფერი მეტისმეტად სამწუხაროა, რადგან ობიექტურად ფეხბურთელთა იმ ჯგუფს, რომელიც საფრანგეთის ნაკრებს შეადგენს, ძალიან მაღალი ხარისხის ფეხბურთის თამაში შეუძლია. საწყენია, ამოდენა პოტენციალი წყალში რომ იყრება“.

კუპე დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელისთვის ევროწარუმატებლობის გამო პასუხი უნდა მოეთხოვათ.

„მათ ექიმი და პრესასთან ურთიერთობის ბიჭი მოხსნეს. რა გამოვიდა? ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე იმიტომ შევრცხვით, რომ ექიმი და პრესის ბიჭი მუშაობდნენ ცუდად? სირცხვილია!“

კიდევ კუპემ თქვა, რომ დომენეკი, რომელსაც ფეხბურთელების ერთ ჯგუფთან ცუდი ურთიერთობა აქვს, თავის ხალხს თრგუნავს.

„მას დაცვის მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები, ერიკ აბიდალი და ფლორან მალუდა ჰყავს, მაგრამ განაწაახალისებს მათ, მუდმივ ეჭვში ამბყოფებს. გნებავთ, ფილიპ მექსესის ამბავი ავიღოთ. ის „რომაში“ საუცხოოდ თამაშობს, საფრანგეთის ნაკრებში კი ვერც ხვდება. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შემიძლია. დომენეკი ყველას საკუთარი შესაძლებლობების ეჭვს უნერგავს“.

**ბაპუნა ძიდია**

# ვეღარ დაითვალეს, კაცო?!

**უეფამ** განაცხადა, რომ „იუვენტუსმა“ 28 კი არა, 27 სკუდეტო მოიგო და ამ შეცდომისთვის საზოგადოებას ბოდიშსაც უხდის.

რით ვეღარ დაამთავრეს ამ „იუვენტუსის“ ტიტულების თვლა? — იკითხავს მავანი. მართლაც და, რა ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ჩემპიონთა ლიგის სეზონის წინ გამოუშვა საგანგებო ჟურნალი, სადაც მონაწილე გუნდები და მათი ტიტულები ჩამოწერა და სწორედ იქ შეცდა — „იუვემ“ 28 ტიტული მოიგოო, მაშინ, როდესაც „კალჩოპოლის“ სკანდალის შემდეგ, „ბებერ ქალბატონს“ იტალიის ორგზის ჩემპიონობა ჩამოართვეს და, ასე ვთქვათ, ჩაალცდაშვიდეს.

კიდევ, უეფას ამ გამოცემაში წერია, რომ „ფიორენტინამ“ იტალიის სუპერთასი 1961 წელს მოიგო, არადა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, თუკი ეს თამაში-შეჯიბრება მაშინ ჯერ დაარსებულიც არ იყო? „იებმა“ თასი 1966-ში მოიგეს!



**ბაპუნა ძიდია**

## კვლავ დეზები, კვლავ ტრანსფერები...

**ლონდონის** „ტოტენჰემის“ დამრიგებელი ხუანდე რამოსი კლუბის რამდენიმე ვეტერანთან დამშვიდობებას აპირებს. დუბლიორთა შემადგენლობაში უკვე ექვსი ფეხბურთელია გადაყვანილი: რიკარდუ როშა, კევინ ბოატენგი, პოლ სტალტერი, ადელ ტაარაბტი, ბენ ალნვიკი და ჰოსამ ღალი, რომელთაც ახალი გუნდის მოძებნამდე „უაით ჰართ ლეინზე“ დუბლებში მოუწევთ თამაში.

ამასობაში „დეზების“ ხელმძღვანელობა იანვარში მიუნხენის „ბაიერნის“ მცველის დანიელ ვან ბუიტენის შეძენას გეგმავს. 30 წლის ბელგიელმა ამ სეზონში ბუნდესლიგაში უკვე 5 მატჩის ჩატარება მოასწრო.

## სამხრეთ აფრიკას ბაი-არენა უმასპინძლებს

**2009 წლის** 5 სექტემბერს ლევერკუზენში გერმანიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა შედგება. მატჩის გამართვა რეკონსტრუირებული „ბაიარენას“ საზეიმო გახსნასთან იქნება დაკავშირებული.

„სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძელი და მონაწილეა. ჩვენთვის მსოფლიო პირველობის მასპინძელთან თამაში ძალიან საინტერესო იქნება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს აფრიკული გუნდია“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა.

## სკანდალი პოლონურ ფეხბურთში

**პოლონეთის** ფეხბურთის ასოციაციაში სკანდალი დატრიალდა. ასოციაციის ხელმძღვანელობა კორუფციაში დადანაშაულდა, რის გამოც ორშაბათს პოლონეთის სპორტის სამინისტრო ქვეყნის ამ უმაღლესი საფეხბურთო დაწესებულების საქმიანობაში ჩაერია და ასოციაციის ხელმძღვანელობა თანამდებობიდან გადააყენა. პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასოციაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე დროებით რობერტ ზავლოვსკი აირჩია. შეგახსენებთ, რომ პოლონეთი უკრაინასთან ერთად, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია, მაგრამ ამ ქვეყნის სპორტის მინისტრის განცხადებით, ეს სკანდალი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პროცესზე გავლენას არ მოახდენს.

## აგერი, კასორლა და რეალი

| 18:00 | 944 | ესტუდიანტესი-ბილბაო | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 945 | მანრესა-კაიასოლი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 18:00 | 947 | მენორკა-ტაუ | 3.20 | 12.00 | 1.30 | 2.52 | 1.00 | 1.17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრებს მომავალი დაუდგინეს

**გუშინ** ევროპის კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, უფრო მარტივად კი ფიბა-ევროპამ, მომავალი წლის სანაკრებო მატჩების გრაფიკი დაადგინა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ევროპის B დივიზიონის C ჯგუფის ოთხივე შეხვედრა ჩვენმა ნაკრებმა გასვლაზე გამართა, რადგან ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა იყო.

გაისად კი, საქართველოს ნაკრები ოთხივე საპასუხო შეხვედრას თბილისში ჩაატარებს. უკვე გაირკვა კონკრეტული რიცხვები, როდესაც ლუქსემბურგს, ირლანდიას, სლოვაკეთსა და შვედეთს უნდა ვუმასპინძლოთ.

თუკი წელს ჩვენებმა ყველა მატჩი სექტემბრის პირველ ნახევარში ჩაატარეს, 2009 წელს ოთხივე შეხვედრა აგვისტოს მეორე ნახევარში გაიმართება.

გარკვეულწილად, შეიძლება, ეს ჩვენი ნაკრებისთვის პრობლემადაც იქცეს, რადგან თუნდაც წელს იგორ კოკშკოვის გუნდი აგვისტოს დასაწყისში შეიკრიბა და ერთი თვე ემზადებოდა, ახლა კი გაცილებით ადრე მოუწევთ შეკრება. ეს საქმე კი ნამდვილად არ იქნება ადვილი, რადგან კალათბურთელები მომქანცველი სეზონის შემდეგ გადაღლილები იქნებიან და, ფაქტობრივად, ვერ მოასწრებენ კარგად დასვენებას, ისე მოუწევთ ნაკრებში ჩამოსვლა და ვარჯიშის დაწყება.

თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკინაადრევია. იმედია, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მალევე დაიწყებს ამ პრობლემების მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ნაკრებს ძალიან გაუჭირდება დასახული მიზნის მიღწევა. პირველ რიგში, ოთხივე თამაშის მოგება და პლეი ოფში მოხვედრა, შემდეგ კი იქ წარმატებული გამოსვლა და ევროპის A დივიზიონში ასვლა.

ამიტომაც საჭიროა, ახლავე დაიწყოს მუშაობა, რათა მომავალი წლის ზაფხულში დიდი პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

საქართველოს ნაკრების 2009 წლის თამაშების განრიგი კი ასეთია:

**15 აგვისტო**
**საქართველო — ლუქსემბურგი**
**19 აგვისტო**
**საქართველო — ირლანდია**
**22 აგვისტო**
**საქართველო — სლოვაკეთი**
**26 აგვისტო**
**საქართველო — შვედეთი**

როგორც ხედავთ, ამ ნაკრებებთან დაპირისპირება გაისადაც წლევანდელის მსგავსი თანმიმდევრობით მოგვიწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ორწლიანი ციკლის მთავარი დაპირისპირება შვედეთთან სულ ბოლოს უწევს. რაც მთავარია, თამაში საქართველოში ჩატარდება და დამატებითი პლუსი გვექნება.

თუ საქართველოს ნაკრებმა დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრა და ჯგუფიდან პლეი ოფში გავიდა, კიდევ ორი შეხვედრა ექნება ჩასატარებელი. ეს თამაშები 5 და 9 სექტემბერსაა დანიშნული. რომელ დღეს ვითამაშებთ შინ და რომელ დღეს გარეთ, სატურნირო წარმატებებზეა დამოკიდებული.

თუმც იქამდე საკმაოდ დიდი დროა და ალბათ ამაზე ლაპარაკი ნაადრევიცაა, რადგან ჯერ უნდა გადავხტეთ და „ჰოპ“ მერე დავიძახოთ.

**გიორგი არაბული**




# ბოისამ მენორკა დააგემოვნა

**საქართველოს** საკალათბურთო ნაკრებმა წლევანდელი სეზონი დაასრულა და, შესაბამისად, ჩვენი მოთამაშეებიც თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. ზოგი ახალ გუნდში მივიდა, ზოგიც ძველ ადგილს დაუბრუნდა.

ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე, რომელმაც წინა სეზონის შემდეგ კლუბი გამოიცვალა, ვლადიმერ ბოისაა. ეს მოთამაშე შარშან ბერძნული „არისის“ შემადგენლობაში იყო, ახლა კი უკვე ესპანური „მენორკას“ მოთამაშეა.

გასულ სეზონში ამ გუნდმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. საბოლოოდ მან ჩემპიონატი მეთექვსმეტე ადგილზე დაასრულა. ესპანურ პირველობაზე კი სულ თვრამეტი გუნდი თამაშობს. მენორკელებმა მოიგეს 12 შეხვედრა, 22-ჯერ კი დამარცხდნენ.

ახალი წელი დაიწყო და „მენორკას“ ხელმძღვანელებმაც გუნდის გაძლიერება განიზრახეს და სწორედ ამ მიზნით შეიძინეს საქართველოს ნაკრების ფორვარდი, რომელიც გამოცდილი მოთამაშეა და კლუბისთვის უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია.

როცა ვლადიმერ ბოისა ახალ გუნდს შეუერთდა, მათ უკვე ჩატარებული ჰქონდათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. ჩვენიანის ჩასვლის შემდეგ „მენორკამ“ კიდევ ორი მატჩი ითამაშა და ბოისას ესპანური დებიუტიც შედგა.

პირველი პირინეული მატჩი ვოვასთვის ბასკური „ბილბაოს“ წინააღმდეგ გაიმართა. ეს შეხვედრა „მენოკამ“ წააგო — 52:63. დიდად არც ბოისა გამოირჩეოდა. დაახლოებით ათი წუთი ითამაშა და ამ დროში მან 3 ქულა შესძინა თავის გუნდს.

სამაგიეროდ, უკვე მომდევნო დაპირისპირებაში ქართველმა კალათბურთელმა დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. „მანრესასთან“ თამაშისას ბოისა კვლავ სათადარიგო იყო, მაგრამ საბოლოოდ 17 ქულა დააგროვა და ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. მისმა გუნდმა კი მეტოქე 84:59 დაამარცხა.

ესპანეთის საკალათბურთო პრიმერადივიზიონის დაწყების დროც მოვიდა. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა 5 ოქტომბერს გაიხსნება, ამ დღეს „მენორკა“ „ტაუ-კერამიკას“ შეხვდება.

**გიორგი არაბული**

# ესტონურ-ქართული როკი: ბუ და ვიქტორი ერთად

**ესტონური** ტარტუს „როკში“ წლეულს უკვე ორი ქართველი კალათბურთელი ითამაშებს. გამთამაშებელ გიორგი ცინცაძეს ფორვარდი ვიქტორ სანიკიძეც შეემატა. ეს უკანასკნელი ბალტიისპირეთში გუშინ გაემგზავრა.

ამასობაში ცინცაძის „როკი“ ლატვიაში გამართულ ოთხთა ტურნირზე მონაწილეობდა, რომელშიც მასთან ერთად რიგის „ბარონსმა“ კაუნასის „ჟალგირისმა“ და ვილნიუსის „ლიეტუვოს რიტასმა“ ითამაშეს. შეჯიბრებას „პრეზიდენტის თასი“ ერქვა.

ამ თამაშების დროს ტარტუელთა შემადგენლობაში მხოლოდ გიორგი ცინცაძე თამაშობდა. მან და მისმა გუნდმა ორი თამაში ჩაატარეს და ორივე წააგეს.

პირველ შემთხვევაში ესტონელებს „ბარონსმა“ აჯობა 86:73. ამ შეხვედრაში „ბუმ“ 33 წუთი დაყო მოედანზე და ამ დროში 6 ქულა, 3 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

ამის შემდეგ დადგა მესამე ადგილისთვის მატჩის დროც, სადაც ერთმანეთის პირისპირ „როკი“ და „ჟალგირისი“ წარსდგნენ. ცინცაძის გუნდმა ეს თამაშიც წააგო — 72:73. თავად ქართველი კალათბურთელის მონაგარი კი ასეთია — 15 ქულა, 8 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 12 ბურთის დაკარგვა. ბოლო კომპონენტი ცინცაძის სხვა მაჩვენებლებს ძალიან აუფერულებს.

ახლა გიორგი ცინცაძეს ვიქტორ სანიკიძეც შეუერთდება და ჩვენც კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ ტარტუს „როკს“, რომელიც ბოლო წლებია, საკმაოდ კარგად ასპარეზობს. რაც მთავარია, ორი წელია, რაც ცინცაძე ამ გუნდში გადავიდა და როგორც მოთამაშე ძალიან გაიზარდა, რადგან ძირითადი გამთამაშებელია და კლუბის ხელმძღვანელობაც ენდობა.

იმედია, ასევე მოხდება სანიკიძის შემთხვევაშიც. ბოლო წლების მანძილზე მან ვერსად მოიკიდა ფეხი, რის გამოც გასული სეზონის საკმაოდ დიდი ნაწილის გატარება თბილისის „დინამოში“ მოუწია.

არადა, სანაკრებო თამაშებმაც დაადასტურა, რომ ეს ორი ახალგაზრდა კალათბურთელი უკვე მზად არის მაღალ დონეზე სათამაშოდ.

**გიორგი არაბული**


ვიქტორ სანიკიძე





# პირველად ჩვენს ფრენბურთში

**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრები თავისი ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში პირველად ითამაშებს 2010 წელს იაპონიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. პირველ რაუნდში საქართველოს ნაკრების მეტოქეები დანიის, ესტონეთისა და მოლდოვას ეროვნული გუნდები იქნებიან.

ჯერ არ არის გარკვეული, როდის და რომელი ქვეყანა უმასპინძლებს შესარჩევ ეტაპს. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციით პირველი რაუნდი ამა წლის 1-15 დეკემბერს ან 2009 წლის იანვარში უნდა ჩატარდეს.

ფინალური ეტაპი კი 2010 წლის 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე იაპონიაში გაიმართება.

„ფრენბურთში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მიიღებს მონაწილეობას, რაც თავისთავად ისტორიული მოვლენაა. ჯგუფს ნამდვილად ვერ დავარქმევთ სუსტს. ყველა ნაკრებს აქვს გამარჯვების შანსი, მათ შორის, საქართველოსაც. ცუდი ისაა, რომ არ ვიცით, სად და როდის ჩატარდება ეს ტურნირი. იმედია, უახლოეს დღეებში ეს საკითხი გადაწყდება და ამის შემდეგ შევადგენთ მზადების გეგმას“ — განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა.

**ზურაბ მიგრიაული**



სოფო შაფათავა

# სოფოს პირველი ასოციაციური

**მსოფლიოს** საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) ეგიდით ტაშკენტში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი და მასში ქართველი სოფო შაფათავაც მონაწილეობს. ჩვენებური ძირითად ბადეში იყო განთესილი. სოფომ პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია. მან ფრანგ კინი ლაინეს დაძაბულ მატჩში მოუგო. გამარჯვებულის გამოვლენას სამივე სეტი დასჭირდა — 6:3 4:6 6:4. მერვედფინალში შაფათავა პოლონელ ურსულა რადვანსკასა და უზბეკ აკგულ ანანმურადოვას შორის გამარჯვებულს შეხვდება. უზბეკური ტურნირის საპრიზო ფონდი 145 ათასი დოლარია.

აშშ-ის ქალაქ ტროიში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირს სოფო მელიქიშვილი გამოაკლდა. მან საკვალიფიკაციის მეორე რაუნდი ვერ დაძლია. სოფომ ორ სეტში წააგო ხორვატ მირიანა ლუჩიჩითან — 1:6 3:6.

ამავე ტურნირზე გამოდის ანა ტატიშვილიც. იგი ძირითად ბადეში იყო განთესილი და თავის მომავალ მეტოქეს შესარჩევი ეტაპიდან ელოდა. ტატიშვილის მეტოქე პირველ შეხვედრაში მე-7 რეიტინგის მქონე უკრაინელი ტატიანა ლუჟანსკა იქნება.

წყვილთა გათამაშებაში კი ტატიშვილისა და ამერიკელი ბრენგლეს ტანდემი ბრიტანელი კარტერისა და კანადელი დაბროვსკის წყვილს დაუპირისპირდება. ტროის ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარს შეადგენს.

**ზურაბ მიგრიაული**



# პატარებმა დაიწყეს

**გუშინ** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ახალგაზრდა ხელბურთელთა (1992-93 წლებში დაბადებულები) შორის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო.

პირველობაში სულ 8 გუნდი მონაწილეობს და ორ ჯგუფად არის დაყოფილი — აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონებად. გუშინ „რუსთავმა“ 25:20 მოუგო „ქარიშხალას“, ხოლო „გორი“ 21:44 დამარცხდა „ყვარელთან“. დასავლეთის ზონის ოთხი გუნდი: „ქუთაისი“, „ბათუმი“, „ფოთი“ და „სამტრედია“ პირველობაში 6 ოქტომბრიდან ჩაებმება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება, თუმც ჯერ გუნდების რაოდენობა დასაზუსტებელია.

**ნიკა ძოწაძე**



# საქართველო მყარად დგას

**გამოქვეყნდა** რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ახალი რეიტინგი, რომელშიც საქართველოს ნაკრები კვლავაც მე-14 პოზიციაზეა. პოზიციები უცვლელია ლიდერთა შორისაც. პირველ ადგილზე ახალი ზელანდიაა, მეორეზე — სამხრეთ აფრიკა, ხოლო მესამეზე — ავსტრალიის ნაკრები.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 (1). ახალი ზელანდია | 92.04 | 13 (13). ტონგა | 70.05 |
| 2 (2). სამხრეთ აფრიკა | 87.75 | 14 (14). საქართველო | 69.43 |
| 3 (3). ავსტრალია | 85.69 | 15 (15). კანადა | 68.81 |
| 4 (4). არგენტინა | 83.36 | 16 (16). იაპონია | 67.35 |
| 5 (5). ინგლისი | 83.16 | 18 (18). რუსეთი | 63.94 |
| 6 (6). უელსი | 80.12 | 19 (19). ურუგვაი | 63.69 |
| 7 (7). საფრანგეთი | 78.99 | 20 (20). აშშ | 63.11 |
| 8 (8). ირლანდია | 77.18 | 21 (21). ესპანეთი | 61.55 |
| 9 (9). შოტლანდია | 77.92 | 22 (22). ს. კორეა | 59.02 |
| 10 (10). იტალია | 75.57 | 23 (23). პორტუგალია | 58.88 |
| 11 (11). ფიჯი | 75.24 | 24 (24). ჩილე | 57.07 |
| 12 (12). სამოა | 72.57 | 25 (25). გერმანია | 57.05 |



# კოკაიმ და ტოჩინოშინმა ერთმანეთს ფეხი ბოლოს აუწყეს

# რუსები გაყიდვაზე ისევ ლაპარაკობენ

**დასრულდა** სუმოს მორიგი ტურნირი იაპონიაში. სექტემბრის ბაშო, რომელიც ტოკიოს „რიოგოკუ კოკეშიკანში“ გაიმართა, ნამდვილად არ გამოვიდა ისეთი დაძაბული და დამაინტრიგებელი, როგორსაც სპეციალისტები ელოდნენ.

ჩვენთვის, ქართველებისთვის კი საკმაოდ საინტერესოც იყო ეს ბაშო და დამაინტრიგებელიც.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაკუუჩი დივიზიონში ორი ქართველი სუმოისტი გამოდიოდა, მეორეც, იმიტომ, რომ ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულება-არდასრულების საქმე ორივე მათგანმა ბოლო დღემდე გააჭიანურა. მათ მხოლოდ მეთხუთმეტე საშეჯიბრო დღეს მოახერხეს მერვე გამარჯვებების მოპოვება.

ლევან ცაგურიას (კოკაი) და ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი) გამოსვლება საკმაოდ არასტაბილური იყო. ჯერ იყო და, ცაგურია შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა, მაშინ, როცა გორგაძე მარცხდებოდა. შემდეგ კოკაი მოგება-წაგებას უნაცვლებდა რამდენიმე დღეს ერთმანეთს, ტოჩინოშინმა კი ექვსგამარჯვებიანი სერია გამოაცხო. ამის მერე ორივეს დიდი ჩავარდნა დაეწყო და პირველმა ზედიზედ ოთხი ბრძოლა წააგო, მეორემ — სამი.

სწორედ ასე მივიდნენ ბოლო დღემდე, ორივე ქართველ ფალავანს 7-7 მოგება-წაგება ჰქონდა. შემდეგ კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, ორივემ იმარჯვა და დადებითი ბალანსიც გაინაღდეს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლევან ცაგურიასთვის იყო, რომელსაც უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ დადებითმა ბალანსმა გადაარჩინა. ახლა არათუ ადგილს შეინარჩუნებს ელიტაში და ცოტა დაწინაურდება კიდეც.

რაც შეეხება ლევან გორგაძეს, პროფესიულ სუმოში წარმატებულ სვლას განაგრძობს. მესამე ტურნირი ჩაატარა მაკუუჩი დივიზიონში და მეორედ დაამთავრა შეჯიბრება დადებითი ბალანსით. ეს უკვე მრავლისმეტყველი ფაქტია. თანაც ტოჩინოშინი რეიტინგშიც სულ წინ და წინ მიიწევს. მას სუმოს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მთავარია, სტაბილურად გამოსვლა მოახერხოს, რასაც გამოცდილება სჭირდება და ტრავმებმა არ შეუშალოს ხელი. ამ შემთხვევაში ის მართლაც უმაღლესი დონის ფალავნად ჩამოყალიბდება.

ტოკიოს სექტემბრის ბაშოზე გაჩემპიონდა მონღოლი იოკოძუნა, 23 წლის ჰაკუჰო. ეს მისთვის მაკუუჩი დივიზიონში მოპოვებული მერვე იმპერატორის თასი იყო. შეჯიბრება მან 14 მოგებათა 1 წაგებით დაასრულა.

ამ შეჯიბრებაზე მონღოლ სუმოისტს ღირსეული კონკურენტი არ ჰყოლია. მეორე მონღოლი იოკოძუნა ასაშორიუ ხუთი მოგებისა და



ტოჩინოშინი



კოკაი

ხუთი წაგების შემდეგ ტრავმის გამო გამოეთიშა შეჯიბრებას.

ვერც სხვებმა შეძლეს დიდი წინააღმდეგობის გაწევა. დაახლოებით ათი დღე ჰაკუჰოს კუდში მიჰყვებოდნენ სეკივაკე ამა და დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა გოკიდო, თუმცა მათ ჩემპიონმა ერთმანეთის მიყოლებით აჯობა.

მესამე ქართველმა სუმოისტმა თეიმურაზ ჯუღელმა, რანგით მესამე დივიზიონში — მაკუშიტაში ოთხი ბრძოლა მოიგო და სამი წააგო. რითაც დადებითი ბალანსით რეიტინგში დაწინაურება გაინაღდა, თუმცა გაგამარუ უფრო მეტის მისაღწევად ჯერ ისევ არაა მზად.

ახლა ყველა მომდევნო დიდი ტურნირისთვის ემზადება, რომელიც 9 ნოემბერს დაიწყება. განახლებული ბანძუკე, ანუ რეიტინგი 26 ოქტომბერს, ნოემბრის ბაშოს დაწყებამდე ორი კვირით ადრე გამოქვეყნდება.

სულ ბოლოს კი ერთ ახალ ინფორმაციას გაგაცნობთ. ცოტა ხნის წინ სამი რუსი, მარიხუანის მოწევაზე ჩავარდა, რის გამოც სამივე მათგანს დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ესენი არიან: სოსლან გაგლოევი და ასევე ძმები სოსლან და ბათრაზ ბარაძოვები.

ამ რამდენიმე დღის წინ სოსლან გაგლოევმა ტოკიოში პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ თავის დროზე ფულის სანაცვლოდ შეხვედრებსაც ყიდდა, მაგრამ ამას აიძულებდნენ და არ შეეძლო, უარი ეთქვა. მისი განცხადებით, პროფესიული სუმო არაა სუფთა, მასში ბევრი სიბინძურეა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

**გიორგი არაბული**

| აღმოსავლეთი | წოდება | დასავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუხო 14-1 | იოკოძუნა | ასაშორიუ 5-5(ტრავმა) |
| კოტომიციკი 11-4 | ოძეკი | კოტოოსიუ 8-7 |
| კაიო 9-6 | ოძეკი | ტოჩინოსიმა 6-9 |
| ბალტო 8-7 | კომოსუბი | ასასეკირიუ 4-11 |
| კოტოსიოგიკუ 6-9 | მაეგაშირა 1 | მოიაშიამა 4-11 |
| კისენოსატო 6-9 | მაეგაშირა 2 | ხომასიო (ტრავმა) |
| კეკეტენხო 6-9 | მაეგაშირა 3 | — |
| ამინისიკი 8-7 | მაეგაშირა 4 | ტოჩინინდა 6-9 |
| კაკურიუ 7-8 | მაეგაშირა 5 | გოვიდო 10-5 |
| ტოიოხიშიკი 8-7 | მაეგაშირა 6 | ტოჩიოძანი 6-9 |
| იავაკიამა 1-2 (ტრავმა) | მაეგაშირა 7 | ტოკიტენკუ 6-9 |
| — | მაეგაშირა 8 | მაცაცუსაკა 5-10 |
| ჰოკეტორიკტი 8-7 | მაეგაშირა 9 | კაკანოსატო 9-6 |
| **ტოჩინოშინი** 8-7 | მაეგაშირა 10 | ფუტენო 11-4 |
| იოსიკაძე 7-8 | მაეგაშირა 11 | ტაკამისაკასი 6-9 |
| ტანანოსიმა 7-8 | მაეგაშირა 12 | ძეძიმა 9-6 |
| ტიეკაკუხო 6-9 | მაეგაშირა 13 | კატატაიკი 7-8 |
| ტაკაკაძე 9-6 | მაეგაშირა 14 | კიმურიამა 7-8 |
| ტაკამასი 4-11 | მაეგაშირა 15 | კასუმაო 2-13 |
| **კოკაი** 8-7 | მაეგაშირა 16 | კაკიძოე 10-5 |

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# კმაყოფილები რისკზე არ მიდიან

## მაკლარენ-მერსედესის ფრთხილი სტრატეგია


ლუის ჰემილტონი

**ფორმულა 1-ის** ისტორიაში პირველი ღამის რბოლა, სინგაპურის დიდი პრიზი უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა „მაკლარენ-მერსედესის“ საჯინიბოსთვის — ლუის ჰემილტონმა გენერალურ კლასიფიკაციაში თავის უახლოეს მდევართან სხვაობა 7 ქულამდე გაზარდა და გუნდურ ჩათვლაში კი „მაკლარენმა“ ერთი ქულით გადაასწრო „ფერარის“ და პირველ ადგილზე აინაცვლა.

სინგაპურში ჰემილტონი მესამე იყო, მაგრამ უმთავრესი ის გახლდათ, რომ თავად ლუისისა და „მაკების“ უმთავრესი კონკურენტები, „ფერარის“ პილოტები ფელიპე მასა და კიმი რაიკონენი უქულოდ დარჩნენ. როდესაც ნათელი გახდა, რომ „ფერარის“ მრბოლები არათუ გამარჯვებისა და პოდიუმისთვის, არამედ ჩასათვლელი ქულებისთვის ბრძოლასაც კი ველარ შეძლებდნენ, „მაკლარენის“ საჯინიბოში უმალ ფრთხილ ტაქტიკაზე გადაეწყვნენ. „ბოლო წრეებზე, კიმის ინციდენტის შემდეგ, ლუისმა გვითხრა, რომ აღარ შეეცდებოდა მეორე პოზიციაზე მყოფი ნიკო როსბერგის გადასწრებას და გარანტირებული მესამე ადგილისთვის იბრძოლებდა — განაცხადა ინგლისურ-გერმანული საჯინიბოს შეფმა რონ დენისმა და იქვე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა — ახლა ჩვენ ვლიდერობთ როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში და შევეცდებით, დარჩენილ სამ რბოლაში მხოლოდ სტრატეგიულად მომგებიანი გადაწყვეტილებები მივიღოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თავქუდმოგლეჯილები არ გავვარდებით წინ და ეტაპის მოგებისთვის მხოლოდ მაშინ ვიბრძოლებთ, როდესაც ეს ნამდვილად შესაძლებელი და აუცილებელი იქნება. ჩვენი მხრიდან დიდ სისულელედ გამოჩნდება, თუ გაუმართლებელ რისკზე წავალთ. ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ უმთავრესი კონკურენტები და მთავარია, ვუწიოთ ფინიშს. იდეალური იქნება, თუ პოდიუმზე მოვხვდებით, თუმც შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, არც გამარჯვებებზე ვიტყვით უარს“.

თავის შეფს თავად ჰემილტონმაც აუბა მხარი. „ურთულესი სარბოლო უიქენდი იყო. სინგაპური ფანტასტიკური ადგილია, ღამის რბოლამაც ნამდვილად გაამართლა და მე ბედნიერი ვარ, რომ მესამე ადგილი დავიკავე და პოდიუმზე შევდექი. მთავარი ის იყო, რომ მასა უქულოდ დარჩა და მე ახლა 7 ქულით წინ ვარ. თუმცა, სეზონის ბოლომდე სამი რბოლა კიდევ დარჩა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ კონცენტრაცია. მთავარია სტაბილურები ვიყოთ. სწორედ სტაბილურობაა უმთავრესი საჩემპიონო ბრძოლაში“ — განაცხადა ინგლისელმა მრბოლმა.

მერსედეს მოტორსპორტის ვიცე-პრეზიდენტმა ნორბერტ ჰაუგმაკ, უფრო ზოგად პრობლემებზე გააკეთა აქცენტი და ბრძანა, რომ ისტორიაში პირველმა ღამის რბოლამ ასი პროცენტით გაამართლა: „ეს იყო გრანდიოზული პრემიერა. დიდი მადლობა რბოლის ორგანიზატორებს, დიდი მადლობა ამ იდეის ავტორ ბერნი ეკლსტოუნსა და მისი გუნდის წევრებს. ეს ბრწყინვალე სანახაობა იყო, რომელიც უზარმაზარ შემოსავლებს მოიტანს“.

**კახა ლომაძე**

# უილიამსის ბედნიერი ღამე


ნიკო როსბერგი

როსბერგისთვის ეს წლეულს მეორე პოდიუმი იყო. სეზონის სულ პირველ, ავსტრალიურ ეტაპზე ფინური წარმოშობის გერმანელმა მესამემ უწია ფინიშს და ამჯერად კი, ურთულეს ღამის რბოლაში, როგორც ვთქვით, მეორე იყო.

„წარმოუდგენელი რბოლა იყო, რომლის დროსაც უამრავი რამ გადავიტანე, აღმაფრენაც და დაცემაც — ბრძანა ფორმულა 1-ის ძველი ჩემპიონის, კეკე როსბერგის ვაჟმა — თავიდან ყველაფერი ძალიან ცუდად დაიწყო, რადგანაც იარნო ტრულის უკან აღმოვჩნდი, რომლის მანქანაც, როგორც ჩანს საწვავით სავსე იყო და ნელა მოძრაობდა. ჩემთვის უბრალოდ აუცილებელი იყო ტრულის გასწრება, მაგრამ ამის გაკეთება ადვილი არ გახლდათ. საბოლოო ჯამში მე ეს მოვახერხე. შემდეგ ნამდვილი კოშმარი გადავიტანე, როდესაც ბოქსებში შესულმა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა დავინახე, თუმც ყველაფერი კარგად დასრულდა. ვფიქრობ, ფრენ უილიამსი კმაყოფილი დარჩებოდა“.

როსბერგის იაპონელი თანაგუნდელი კაძუკი ნაკაჯიმა სინგაპურში მერვე იყო და გუნდს ერთი ქულით შეეწია. „ეს დიდი დღეა მთელი ჩვენი საჯინიბოსთვის. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კონკურენტუნარიანები ვართ. ვულოცავ ნიკოს, მან მშვენიერი რბოლა ჩაატარა. მე რაც შემეხება, ცოტა გამიმართლა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოჩენისას, მაგრამ ისეც საბრძოლველად ვიყავი განწყობილი და ბედნიერი ვარ, ერთი ქულის მოპოვება რომ შევძელი“ — განაცხადა იაპონელმა.

**„მაკლარენის“** მსგავსად, სინგაპურული რბოლით უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ მეორე ინგლისური გუნდის, „უილიამსის“ წარმომადგენლებიც. ეს ადვილი ასახსნელია — მთლიანობაში ფრენკ უილიამსის საჯინიბო საკმაოდ წარუმატებელ სეზონს ატარებს და სინგაპურში კი გუნდის ორივე პილოტი ქულათა ზონაში მოხვდა, თანაც ნიკო როსბერგი სულაც პოდიუმზე შედგა და კარიერის უმაღლესი, მეორე ადგილი დაიკავა.

**კახა ლომაძე**



შანხაის მასტერსი. შანხაი. ჩინეთი
29 სექტემბერი — 4 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა


დინ ჯუნხუ

# შანხაი ჩინელებისგან დაიცალა

**ჩინურ** მეგაპოლის შანხაიში სნუკერისტთა 2008-09 წლების სეზონის მეორე სარეიტინგო ტურნირი გახურდა. შანხაის მასტერსის საპრიზო ფონდი 282 ათასი ფუნტია და აქედან გამარჯვებული 52 ათასს მიიღებს.

შანხაიში სნუკერისტთა მთელმა ელიტამ მოიყარა თავი მსოფლიოს ჩემპიონისა და რეიტინგის ლიდერის, სეზონის პირველი სარეიტინგო შეჯიბრის, ჩრდილოეთ ირლანდიის თასის გამარჯვებულის რონი ოსალივანის თავკაცობით. რონის ჩინეთში თამაში დიდად არასოდეს ეხალისებოდა და აკი, შარშან, ჩინეთის ღია პირველობის დროს გამართულ პრესკონფერენციაზე რაღაც შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც კი მოიხსენია მასპინძლები. მაგრამ ახლა ინგლისელი მაინც ჩავიდა შანხაიში, თანაც ის ისეთ ფორმაშია, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რონი ჩინეთში მოტივაციის არქონაზე ლაპარაკს თავს დაანებებს და თავის მოგებათა სერიას გააგრძელებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოსალივანს საკმაოდ კარგი ბადე შეხვდა და წესით, ნახევარფინალამდე უპრობლემოდ უნდა მივიდეს. აი, იქ კი, მას, სავარაუდოდ, ორი მძლავრი შოტლანდიელიდან ერთ-ერთი უნდა დახვდეს — ან ჯონ ჰიგინსი, ანაც სტივ მაგუაერი.

ბადის ზედა ნახევარში ფავორიტები ინგლისელები — შონ მერფი და მარკ სელბი არიან, ოღონდაც მათი გზები მეოთხედფინალში იკვეთება. მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ მეოთხე ნახევარფინალისტი მათი კერპი დინ ჯუნხუ იქნება, ვის სიახლოვესაც ბადეში შარშანდელი ჩემპიონი, უელსელი დომინიკ დეილი, ავსტრალიელი ნილ რობერტსონი და დიადი შოტლანდიელი ვეტერანი სტივ ჰენდრი არიან.

შეიძლება ითქვას, რომ ჯუნხუ ჩინელთა ერთადერთი იმედია, რადგანაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდნენ შეჯიბრზე ვაილდ ქარდით, ანუ ორგანიზატორთა ნებით მიწვეული მასპინძლები — ჟან ანდას 5:0 გადაუარა უელსელმა რიკი უოლდენმა, ჭაბუკმა ინგლისელმა ჯად ტრამპმა 5:4 მოუგო ა ბულ იანს, მეორე ინგლისელმა, სახელოვანმა და უაღრესად პოპულარულმა ვეტერანმა ჯიმი უაიტმა 5:2 სძლია ქსაო გუ დონგს, ასევე ინგლისელმა ენტონი ჰემილტონმა 5:1 აჯობა ლი იუანს, კიდევ ერთმა ინგლისელმა ენდი ჰიკსმა ანალოგიური ანგარიშით — 5:1 — დაჯაბნა იან ლი, ტომ ფორდმა (ესეც ინგლისელია) ბოლოსკენ გატეხა იუ ლე ლუს წინააღმდეგობა და 5:4 დაამარცხა მასპინძელი და კიდევ ერთ ინგლისურ-ჩინურ დაპირისპირებაში კი სტიუარტ პეტმენმა 5:1 მოუგო ცაო ქსინლონს.

სწორედ პეტმენი ხვდება პირველ წრეში ოსალივანს და საწყისი ეტაპის სხვა გამორჩეულ შეხვედრებს რაც შეეხება, ასეთებად სელბი-ტრამპის, მარკ კინგ-უაიტისა და ალისტერ კარტერ-მარკ უილიამსის დაპირისპირებები უნდა მივიჩნიოთ.


ჯიმი უაიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალვერდეს მეორე სერია
## გაისად რეიტინგი სრულყოფილი იქნება



ალეხანდრო ვალვერდე

**2008 წლის** ველოსეზონი ოფიციალურად 18 ოქტომბერს დაიხურება იტალიური კლასიკური ერთდღიანი რბოლით „ჯირო ლომბარდიათი". მანამდე კიდევ არის რამდენიმე რბოლა, მათ შორის კიდევ ერთი პოპულარული კლასიკა „პარიზი-ტური", თუმც ეს რბოლები წლეულს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირსა (UCI) და დიდი ველოტურების ორგანიზატორებს შორის მომხდარი განხეთქილების გამო პრო-ტურის სერიაში არ შედის და იქიდან გამომდინარე, რომ წლევანდელი სერია უკვე დასრულებულია, შეგვიძლია პრო-ტურის საბოლოო რეიტინგებზე ვილაპარაკოთ.

თუმც მანამდე ერთი სასიამოვნო ამბის შესახებ — როგორც ჩანს, UCI-სა და დიდი რბოლების, პირველ რიგში კი „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებს შორის ზემოთნახსენები კონფლიქტი მოგვარებულია და გაისად „ტურ დე ფრანსი" პრო-ტურის სერიის რბოლა იქნება. ეს კი დიდი ალბათობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფრანგული სუპერრბოლის თავკაცებს „ჯიროსა" და „ვუელტას" ორგანიზატორებიც მიბაძავენ და პრო-ტურის სერიას სხვა განდგომილი ერთდღიანი და ერთკვირიანი რბოლებიც დაუბრუნდებიან.

ახლა კი წლევანდელი რეიტინგების შესახებ. მრბოლთა კლასიფიკაციას „კას დეპარნის" ესპანელი ველოსიპედისტი ალეხანდრო ვალვერდე უდგას სათავეში და მან მეორედ დაასრულა სეზონი რეიტინგის მოწინავის რანგში. მეორე და მესამე ადგილებზე იტალიელი დამიანო კუნეგო და გერმანელი ანდრეას კლოდენი არიან, ამათ შემდეგ კი ახალგაზრდა და უაღრესად ნიჭიერი ჩეხი რომან კროიციგერი მოდის.

კლასიფიკაციაში მხოლოდ მეცამეტეა წლეულს „ჯიროსა" და „ვუელტას" წყვილად მომგები ესპანელი ალბერტო კონტადორი, ხოლო „ტურის" ტრიუმფატორი, კიდევ ერთი ესპანელი კარლოს სასტრე საერთოდ არ არის ტოპ-ოცეულში. ეს კი კიდევ ერთხელ ნათლად აჩენს ზემოთ ნახსენები უთანხმოების სრულ უაზრობას და იმას, რომ ასეთი რეიტინგი ვერანაირად ვერ ასახავს ძალთა განლაგების რეალურ სურათს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოწინავე ოცეულში ყველაზე მეტი, ექვსი წარმომადგენელი წლეულს, ფაქტობრივად ყველაფრის მომგებ ესპანელებს ჰყავთ. ოთხი მრბოლით იწონებენ თავს გერმანელები, სამით — ავსტრალიელები, ორით — იტალიელები და თითო-თითო კაცი ტოპ-ოცეულში ჩეხებს, ბელგიელებს, შვედებს, ფრანგებსა და სლოვენიელებსაც ჰყავთ.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, ეროვნებათა რეიტინგს სწორედ ესპანეთი რომ უდგას სათავეში, ისევე როგორც გუნდურ რეიტინგს ესპანური „კას დეპარნი". ვალვერდეს გუნდმა სამი ქულით აჯობა ლუქსემბურგში დარეგისტრირებულ ყაზახურ „ასტანას", არადა მოწინავე ოცეულში „კას დეპარნს" სამი მრბოლი ჰყავს, მაშინ, როდესაც „ასტანა" ოთხი კაცით არის წარმოდგენილი. „კას დეპარნის" მსგავსად სამი მრბოლით იწონებს თავს ამერიკული „კოლუმბია"; მოწინავეთა შორის ორ-ორი ველოსიპედისტით არიან წარმოდგენილნი იტალიური „ლამპრე" და ბელგიური ველოგუნდები „ლოტო" და „ქვიკ სტეპი", ხოლო იტალიურმა „ლიქუიგასმა", ესპანურმა „ეუსკალტელმა", ფრანგულმა „ბუჟ ტელეკომმა" და დანიურმა CSC-იმ პირველ ოცეულში თითო მრბოლი მიავლინეს.

**გია მუჯირი**

### პრო-ტურის რეიტინგი

#### მრბოლები

| | | |
|---|---|---|
| 1. | ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კას დეპარნი") | 123 |
| 2. | დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | 104 |
| 3. | ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | 96 |
| 4. | რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი") | 94 |
| 5. | ანდრე გრეიპელი (გერმანია, „კოლუმბია") | 93 |
| 6. | კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | 85 |
| 7. | სტიინ დევოლდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 80 |
| 8. | ხოსე როხას ხილი (ესპანეთი, „კას დეპარნი") | 77 |
| 9. | ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, „კოლუმბია") | 74 |
| 10. | ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე") | 60 |
| 11. | მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | 60 |
| 12. | ალან დევისი (ავსტრალია, „ქვიკ სტეპი") | 59 |
| 13. | ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | 58 |
| 14. | ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, „კას დეპარნი") | 56 |
| 15. | პიერიკ ფედრიგო (საფრანგეთი, „ბუჟ ტელეკომი") | 55 |
| 16. | დანიელ ნავარო (ესპანეთი, „ასტანა") | 55 |
| 17. | იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) | 53 |
| 18. | ლინუს გერდერმანი (გერმანია, „კოლუმბია") | 53 |
| 19. | ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, „ასტანა") | 53 |
| 20. | რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო") | 52 |

გუნდები: 1. კას დეპარნი (ესპანეთი) 229 ქულა; 2. ასტანა (ყაზახეთ-ლუქსემბურგი) 226; 3. CSC (დანია) 180; 4. ლიქუიგასი (იტალია) 178; 5. სკოტ-ამერიკან ბიფი (აშშ) 177; 6. კრედიტ აგრიკოლი (საფრანგეთი) 161; 7. ეუსკალტელი (ესპანეთი) 160; 8. ქვიკ სტეპი (ბელგია) 160; 9. კოლუმბია (აშშ) 159; 10. რაბობანკი (ჰოლანდია) 156

ქვეყნები: 1. ესპანეთი 374 ქულა; 2. გერმანია 317; 3. იტალია 295; 4. ავსტრალია 268; 5. ბელგია 216; 6. საფრანგეთი 177; 7. ჩეხეთი 94; 8. ლუქსემბურგი 94; 9. ჰოლანდია 90; 10. რუსეთი 87





# ბერტომ ტიტული დაიცვა

**ნახევრადსაშუალო** წონაში ახალი ფავორიტი გამოჩნდა ამერიკელი ანდრე ბერტოს სახით. ეს 25 წლის ბიჭი უბრალოდ ნიჭიერი მოკრივიდან უცბად გადაიქცა ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად და არ არის გამორიცხული, ძალიან მალე აბსოლუტურ ჩემპიონობაზე დაიწყოს ფიქრი.

ბერტოს უკვე მოპოვებული აქვს ერთი საჩემპიონო ქამარი — 21 ივნისს მან WBA-ს ვაკანტური სარტყელი მოიპოვა, როცა მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა მიგელ ანხელ როდრიგესი. ახლახან კი ამერიკელს ტიტულის დაცვა პირველად დასჭირდა და ამასაც წარმატებით გაართვა თავი.

გაცილებით გამოცდილ სტივ ფორბსთან შეხვედრაში ბერტო თითქმის მთელი ბრძოლის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუმც მეტოქის ფიცარნაგზე დაგდება მაინც ვერ შეძლო. ჩემპიონს თავის არცთუ ხანგრძლივ კარიერაში პირველად მოუწია რინგზე 12 რაუნდის გატარება და, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გამოცდაც ჩააბარა — ტემპი ოდნავადაც არ დაუგდია და მეტოქეს მუდმივად უტევდა.

შედეგად, არავის გაჰკვირვებია, რომ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მსაჯებმა გამარჯვება ბერტოს მიაკუთვნეს — 118:108, 119:109 და 116:111.

„ბრძოლის შუაწელზე თითქოს დავიღალე და ისე ვერ ვურტყამდი, როგორც მსურდა. თუმც რიტმი მალევე აღვიდგინე და ნორმალურად ვიჩხუბე. სტივი ძალიან ძლიერი და გაუტეხელი მეტოქეა. მისი ჯობნა იმაზე მიუთითებს, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ" — განაცხადა ნამატჩევს ბერტომ.

უკვე საუბარი დაიწყო ჩემპიონის შემდეგ მეტოქეზე და ჯერჯერობით ყველაზე სავარაუდო კანდიდატურად ლუის კოლაცო გამოიყურება, რომელსაც თვალი უჭირავს WBA-ს ტიტულზე და თავად ამ ორგანიზაციის რეიტინგშიც ქამრისთვის ბრძოლის უმთავრეს პრეტენდენტად მიიჩნევა. სხვათა შორის, ამ უქმეებზე კოლაცომაც იჩხუბა და მერვე რაუნდში დაანოკაუტა კიდეც თითქმის სრულიად უცნობი ამერიკელი რასელ ჯორდანი.

**ჭაჭა ლომაშვილი**

# უილიამსის ამბიციები



**პოლ უილიამსმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე, როცა ენდი კოლე პირველივე რაუნდში დაანოკაუტა და ამით ნახევრადსაშუალო წონაში თავისი WBO-ს ტიტული დაიცვა.

ამერიკელმა ბრძოლის პირველი წუთის ამოწურვისთანავე გაატარა დარტმების ორიგინალური კომბინაცია — ორი უძლიერესი ჰუკი კორპუსში და შემდეგ მარჯვენა პირდაპირი ყბაში, რასაც კოლემ ვერ გაუძლო და მოცელილივით დაენარცხა ფიცარნაგს.

„თავიდან ერთი-ორი დამარტყა, მაგრამ მინდოდა, გამომეცადა, ჩემს მოქნეულს როგორ გაუძლებდა. როგორც ხედავთ, დიდი ვერაფერი მეტოქე იყო" — თავმომწონედ განაცხადა უილიამსმა.

ამერიკელი ახლა კიდევ ერთხელ აპირებს ტიტულის დაცვას. ეს ბრძოლა სავარაუდოდ 29 ნოემბერს გაიმართება. ამის შემდეგ კი უილიამსს ძალიან ამბიცური გეგმები აქვს და ნახევარადსაშუალო, პირველი საშუალო და საშუალო წონების ნებისმიერ მოკრივეს იწვევს რინგზე.

„ამ ტიტულს კიდევ ერთხელ დავიცავ და მერე ამ წონითი კატეგორიების გაწმენდას დავიწყებ. ამბობენ, ნახევრადსაშუალო წონაში დღეს ყველაზე ძლიერი ანტონიო მარგარიტო არისო და ჯერ მაგას გამოვიწვევ. იმედი მაქვს, სატელევიზიო კომპანიების დიდი სურვილი და საზოგადოებრივი ზეწოლა მას აიძულებს, ჩემთან ბრძოლას დათანხმდეს. მერე პირველ საშუალო წონაში ავალ და იქ ვიჩხუბებ, რის შემდეგადაც არც საშუალო წონაზე ვიტყვი უარს — მოკლედ, ამ წონით კატეგორიებში ვინც გაბედავს ჩემთან რინგზე გასვლას, უარს არავის ვეტყვი".

**ჭაჭა ლომაშვილი**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**ოლბორგი 0:3 მანჩესტერი**

0:1 რუნი (22), 0:2, 0:3 ბერბატოვი (55, 79)
ოლბორგი: ზაზა, პედერსენი, დეუშამპი (სასა 38), ოლფერსი, იოჰანსონი, ავგუსტინესუნი, საგანოვსკი, კურტი, ბიოგელუნდი, რიზგარდი, ენევოლდსენი
მწვრთნელი: ბრიუს რიოხი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, რონალდუ, ბერბატოვი, რუნი (ტევესი 59), ვიდიჩი, ნანი, სქოულზი (გიგზი 16), სილვა (ბრაუნი 66), ოში
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: იოჰანსონი, ზაზა, სილვა
მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)
10 346 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 სელტიკი**

1:0 სენა (67)
ვილიარეალი: ლოპესი, როდრიგესი, გოდინი, კაპდევილა, ეგურენი, პირესი (ბრუნო 83), კასორლა (კანი 90), ლიორენტე, ანხელი, სენა, როსი (იბაგასა 77)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
სელტიკი: ბორუცი, ნეიტორი, მაკმანუსი, კალდველი, ბრაუნი, სამარასი, ჰარტლი (ვენეგოორი 82), ვილსონი, მელოუნი (მაკდონალდი 72), ნაკამურა (რობსონი 74), მაკგრიდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: რობსონი, ბრაუნი
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
21 515 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სელტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

### F ჯგუფი

**ბაიერნი 1:1 ლიონი**

0:1 დემიკელისი (25ს.კ), 1:1 ზე რობერტო (52)
ბაიერნი: რენსინგი, ლუსიო, დემიკელისი, რიბერი (ბოროვსკი 82), ტონი, ზე რობერტო, კლოზე, ლამი, ოდო, შვაინშტაიგერი, ბრენო
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
ლიონი: ლორისი, კრისი, ბოდმერი, ჟუნინიო (ბუმსონგი 87), ფრედი (მუნიერი 75), ბენზემა, გოვუ (ედერსონი 36), მენსა, მაკუნი, რევეილერი, ტულალანი
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: დემიკელისი, კლოზე, მენსა, ჟუნინიო, მაკუნი, კრისი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
64 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:0 სტიაუა**

ფიორენტინა: ფრეი, დაინელი, გამბერინი, ვარგასი, მუტუ, ჯილარდინო, მონტოლივო (პაცინი 81), იორგენსენი (ძაური 46), სანტანა, ალმირონი (კუზმანოვიჩი 74), ფელიპე
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
სტიაუა: ზაპატა, ოგარარუ, გოიანი, რადოი, სემედუ (კაპეტანოსი 90), მორენო (გომეში 87), ნიკოლიტა, მარინი, ლოვინი, გონია, სტანკუ (სუეაველი 77)
მწვრთნელი: მარიუს ლაკატუში
გაფრთხილება: მარინი, სტანკუ
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
25 383 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

### G ჯგუფი

**არსენალი 4:0 პორტუ**

1:0 ვან პერსი (31), 2:0 ადებაიორი (40), 3:0 ვან პერსი (48), 4:0 ადებაიორი (71)
არსენალი: ალმუნია, სანა, ფაბრეგასი, ტურე, ნასრი (ებუე 65), გალასი, ვან პერსი (ბენდტნერი 65), უოლკოტი (ველა 72), დენილსონი, კლიში, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პორტუ: ელტონი, ალვეში, ბენიტესი, გუარინი, ლისანდრო, როდრიგესი (კანდეიასი 79), როლანდო, მეირელეში (მულკი 64), კოშტა, საპუნარუ, ფერნანდუ (ლუშო 46)
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
გაფრთხილება: კლიში, კოშტა
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
59 623 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 0:0 დინამო**

ფენერბაჰჩე: ვოლკანი, ლუგანო, რობერტო კარლოსი, ედუ, ემრე (ბორალი 85), ქაზიმი, ალექსი (ილმაზი 77), გუიზა, შაჰინი, მალდონადო, გოკჰანი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
დინამო: ბოგუში, ბეტაო, გიოანე, ვუკოევიჩი, ალიევი (ასათიანი 89), ბანგურა (შაცკიხი 46), ერემენკო, დიაკატე, მიხალიკი, კადური (ნესმაჩნი 62), ნინკოვიჩი
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, ქაზიმი, საჰინი, კადური, ალიევი, ბოგუში
მსაჯი: თომას ეინვალერი (ავსტრია)
35 112 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

### H ჯგუფი

**ზენიტი 1:2 რეალი**

0:1 პობუკანი (4ს.კ.), 1:1 დანი (25), 1:2 ვან ნისტელროი (31)
ზენიტი: მალაფეევი, პორგრებნიაკი, არშავინი, შირლი, პობუკანი (დომინგესი 73), ზირიანოვი, დანი, ანიუკოვი, დენისოვი, პიგრენიერი (ტეკე 73), ტიმოშჩუკი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
რეალი: კასილიასი, პეპე, რამოსი, კანავარო, დიარა, რობენი (ბრენტე 82), ჰაინცე, დე ლა რედი, ვან ნისტელროი, იგუანი (სავიოლა 88), ვან დერ ვაარტი (გარსია 62)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: არშავინი, ტიმოშჩუკი, პუბოკანი, ვან ნისტელროი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
21 075 მაყურებელი

**ბატე 2:2 იუვენტუსი**

1:0 კრივეცი (17), 2:0 სტასევიჩი (23), 2:1, 2:2 იაკვინტა (29, 45)
ბატე: ვერენკო, ლიხტაროვიჩი (სივაკოვი 70), სოსნოვსკი, ვოლოდკო, კრივეცი, ნეხაიჩუკი (მირჩევი 87), როდიონოვი (პეშა 90), სტასევიჩი, კაზანცევი, რჟევსკი, იურევიჩი
მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო
იუვენტუსი: მანინგერი, კიელინი, იაკვინტა (ამაური 81), დელ პიერო, ნედვედი, კამორანეზი (მარკისიო 46), ჯოვინკო, გრიგერა, სისოკო, ლეგროტალიე (კნეჟევიჩი 18)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ნეხაიჩუკი, კაზანცევი, ვოლოდკო, გრიგერა, სისოკო, მარკისიო
მსაჯი: მარტინ ეტკინსონი (ინგლისი)
31 400 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## ტურინელები ბატესთან ბატებივით იყვნენ

**ჩემპიონთა ლიგის** ჯგუფური ეტაპის მეორე ტურიც სენსაციებითაა დახუნძლული. მთავარი მოულოდნელობა ის გახლავთ, რომ „იუვენტუსმა" ბატე-სთან ვერ მოიგო, რაც შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

მეტიც, 23-ე წუთისთვის ტურინელები 0:2-ს აგებდნენ. „ბებერი ქალბატონის" კარში ორივე გოლი დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა.

პირველი გოლისას „იუვეს" დაცვის ცენტრი ჩავარდა, მეორე გოლისას კი იგორ სტასევიჩს, რატომღაც პაველ ნედვედი მეურვეობდა და არა რომელიმე მცველი.

ვინჩენცო იაკვინტას გარჯით ტურინელებმა პირველივე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეტს ვეღარაფერს გახდნენ. ალესანდრო დელ პიერო კი აქტიურობდა და ერთხელ სებასტიან ჯოვინკოს კარგი მომენტიც შეუქმნა. იყო სხვა მწვავე ეპიზოდებიც. ბოლოს კლაუდიო რანიერიმ მინდორზე გაციებული ამაურიც შეუშვა, მაგრამ ეს ყველაფერი ამაოდ.

ამ ჯგუფის მეორე მატჩზეც ვთქვათ, რომელიც სხვებზე ადრე დამთავრდა. „ზენიტმა" საკუთარ კედლებში წააგო „რეალთან" და მადრიდელები ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. შეხვედრის სამივე გოლი საწყის 31 წუთში გავიდა.

პირველი გოლი სანკტპეტერბურგელებმა საკუთარ კარში შეაგდეს. შემდეგ დაცვის შეცდომას მოჰყვა როგორც „ზენიტის", ასევე „რეალის" გოლი. მომენტები კიდევ იყო და არცთუ ცოტა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა. ყველაზე ახლოს მიზანთან ანდრეი არშავინი გახლდათ, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა.

ცუდად ითამაშა მეორე იტალიურმა კლუბმა „ფიორენტინამაც". ფლორენციელებმა ვერაფერი გააწყვეს ბუქარესტის „სტიაუასთან". ამ მწირმომენტიან შეხვედრაში ფრე ალბათ ყველაზე ლოგიკური შედეგი იყო. რუმინელები მშვენივრად გამოიყურებოდნენ და მოგებაც კი შეეძლოთ.

ფრედ დასრულდა „ბაიერნისა" და „ლიონის" შეხვედრაც. ფრანგებმა მატჩი მშვენივრად დაიწყეს და დამსახურებულადაც დაწინაურდნენ, მაგრამ ამაში მათ მარტინ დემიკელისც დაეხმარათ, რომელმაც ჟუნინიოს ჩაწოდებული ბურთი სულელურად ჩაჭრა საკუთარ კარში. ტაიმი ასეც მორჩა.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა მიუნხენელებმა გათანაბრება შეძლეს. მათი შეტევისას მთელი ყურადღება ლუკა ტონიზე იყო გადატანილი და მიროსლავ კლოზემაც ჭკვიანურად დაინახა ზე რობერტო, რომლის თავურიც ზუსტი გამოდგა. დარჩენილ დროში გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ მატჩი ფრედ მორჩა და პრინციპში, სამართლიანადაც.

„მანჩესტერმა" ძალიან იოლად მოუგო „ოლბორგს". მთავარი ის არის, რომ „წითელი ეშმაკების" სამი გოლიდან ორი გუნდის ახალწვეულმა დიმიტარ ბერბატოვმა შეაგდო და ბულგარელმა, როგორც იქნა, თავის ახალ გუნდში ანგარიში გახსნა. ერთი ბურთიც უეინ რუნიმ მიითვალა. მეორე მხრივ კი თამაში ახალი დაწყებული იყო, პოლ სქოულზი რომ დაშავდა და შესაცვლელი გახდა.

მოიგო „ვილიარეალმაც" ოღონდ გვარიანი წვალებით. „ყვითლებს" სამი ქულა მარკოს სენამ მოუტანა. „სელტიკმა" კი იბრძოლა, ოღონდ მასპინძლებზე მწვავე მომენტები არ შეუქმნია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მომენტი არც „ვილიარეალს" ჰქონდა.

„არსენალმა" რობინ ვან პერსისა და ემანუელ ადებაიორის წყვილ-წყვილი გოლით „პორტუ" გაანადგურა. „დრაკონები" უსუსურად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით მათი დაცვა. არადა, დასაწყისში „პორტუმ" კონტრიერიშისას ხარიხას გაარტყა ბურთი და კაცი იფიქრებდა, „მეთოფეებს" მძიმე ბრძოლა ელითო.

პირველი ორი გოლი საკმაოდ ეფექტური გამოვიდა. მესამე სასაცილო, რადგან „დრაკონებმა" დაცვაში საზიზღრად ითამაშეს. მეოთხე გოლზეც იგივე ითქმის, პორტუგალიელებმა სულელური პენალტი „აიკიდეს" და საბოლოოდ, ეს გაცამტვერება დაიმსახურეს კიდეც.

„ფენერბაჰჩესა" და კიევის „დინამოს" მატჩი კი უგოლოდ დასრულდა. მომენტები იყო, გატანა უფრო თურქებს შეეძლოთ და მათ პირველი ტაიმის ერთ ეპიზოდში როგორ ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა, ალბათ უკრაინელებისთვისაც გაურკვეველია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ შეხვედრაში ფრე დაფიქსირდა. ვთქვათ ისიც, რომ მალხაზ ასათიანი მინდორზე 89-ე წუთზე შევიდა.

**გიორგი ძაძაბაძე**

## უეფას თასი 2008-09. I ეტაპი. II მატჩები

ცსკა 1:0 სლავენი (2:1)
სტ პატრიკსი 0:0 ჰერტა (0:2)

### იტალია

**კოპა იტალია**

სალერნიტანა 2:2დდ. (2:2, 6:5პ)ასკოლი

### ამხანაგური მატჩები

ს. აფრიკა 3:0 მალავი

### ირლანდია

**პრემიერდივიზიონი**

დროჰედა 0:0 რამბლერსი

**ასოციაციის თასი**

დერი 0:0 (5:3 პენ)კორკი

### უელსი

**პრემიერდივიზიონი**

პრესტატინი 3:3 ნევი

### სლოვაკეთი

**თასი**

დუსლო 1:4 რუჟომბეროკი
პუხოვი 0:0 (3:4პენ) ზლატე მორავცე
ტოპოლჩანი 2:3 კოშიცე
დუბნიცა 2:0 მიხალოვცე

### შვედეთი

**ალსვენსკა**

მალმიო 1:2 ჰელსინგბორგი

**სუპერეტა**

ბრომაპოიკარნა 5:0 იონკოპინგი
ჰეკენი 4:3 ატვიდაბერგი
ვასბი 1:2 სირიუსი

### ინგლისი

**ჩემპიონატი**

ბრისტოლი 2:2 პლიმუთი
ბარნლი 3:2 უოტფორდი
კარდიფი 2:1 ძოვენთრი
დერბი 1:1 ბირმინგემი
დონკასტერი 0:2 შეფილდი
იფსვიჩი 3:0 ბარნსლი
პრესტონი 0:2 სოუნსი
უენსდი 1:0 ნოტინგემი
საუთჰემპტონი 2:0 ნორვიჩი
ვულვზი 0:3 რედინგი
კრისტალ პალასი 1:0 ჩარლტონი
ქუინზ პარკი 1:1 ბლექპული

**I ლიგა**

კოლჩესტერი 0:1 ლესტერი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი ჰერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge